ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 12 ოქტომბერი 2007 №236 (3159)

ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტოპმიოლერი განიტვირთა: ასათიანი დაიტვირთა!






## ოლიმპიური სურათი

### ჩვენც მართლები ვართ და ჩვენც მართლები ვართ...



9 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის საგანგებო სხდომის მიერ სეოკ-ის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილისთვის უფლებამოსილება იქნა შეჩერებული და მას შემდეგ ვნებები კი არ ცხრება, უფრო ღვივდება.

სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და იურიდიულმა კომიტეტმა სხდომის დადგენილება დებულებისა და რეგლამენტის დარღვევის გამო არალეგიტიმურად ცნეს და შესაბამისი შინაარსის წერილი გაგზავნეს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში.

საპასუხოდ, გუშინ ჭიდაობის ფედერაციაში სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციებისა და სპორტის დეპარტამენტის თავკაცები შეიკრიბნენ, ორი დღის წინანდელი სეოკ-ის აღმასკომის დადგენილება მოიწონეს და ამის შესახებ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსაც აცნობეს. სეოკ-ის მაღალჩინოსნები კი აზრს მაინც არ იცვლიან და იმის დამტკიცებას ცდილობენ, რომ სეოკ-ის აღმასკომის არათუ დადგენილება, თვით სხდომაც არალეგიტიმური იყო.

სოკ-ის შტაბ-ბინაში კი თბილისიდან სხვადასხვა შინაარსის წერილი წერილზე მიფრინავს.

ძველი ქართული სურათია...

## განწოლილი დიდა ორჯერ ვერ დადგება



AFP

გუშინ უეფამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა „სელტიკ“ — „მილანის“ გახმაურებული მატჩის ერთ-ერთი ანტიგმირი — იტალიელთა ბრაზილიელ მეკარეს ნელსონ დიდას სიმულაცია დაუმტკიცდა.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის გლაზგოურ მატჩში, რომელშიც მასპინძლებმა ბოლო წუთზე გატანილი გოლით 2:1 იმარჯვეს, მოედანზე ქომაგი გადახტა და დიდას კისერზე მოუთათუნა, რასაც მეკარემ გულისამრევი წაკოტრიალებით უპასუხა.

„სელტიკი“ კი 57 ათასი დოლარით დაისაჯა, თუმცა თუ მსგავსი რამ მომდევნო ორი წლის განმავლობაში აღარ მოხდება, სასჯელი გაუნახევრდება.

# ასათიანი იქნება!

## ტოპმიოლერის სრული პაკეტი: გუნდი თეორიულად, პრაქტიკულად და ფსიქოლოგიურად ემზადება



სფფ-ის პრესსამსახური

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონ იტალიასთან კარსმომდგარი ევროშესარჩევი მატჩისთვის მზადებას განაგრძობს.

გუშინ კლაუს ტოპმიოლერმა გუნდი მხოლოდ ერთხელ, საღამოს ავარჯიშა, დილით კი მწვრთნელებმა შეგირდებს თეორიული მეცადინეობა ჩაუტარეს.

იმის გამო, რომ წინა დღეს კლაუს ტოპმიოლერმა და მისმა თანაშემწეებმა ფეხბურთელები მაქსიმალურად დატვირთეს, გუშინ კვლავ ორჯერადი ვარჯიშის ჩატარება მიზანშეწონილად აღარ მიიჩნიეს.

მწვრთნელები კმაყოფილნი არიან ბიჭების მონდომებით და იტალიელებსაც მძიმე ბრძოლას ჰპირდებიან.

და რაც მთავარია: ნაკრების ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი უკვე გამოჯანმრთელდა და გუშინ გუნდთან ერთად მთელი დატვირთვით ივარჯიშა. ახლა კლაუს ტოპმიოლერს შეკრებაზე არც ერთი ტრავმირებული ფეხბურთელი აღარ ჰყავს.

გუშინვე, ნავარჯიშევს, საქართველოს დელეგაციამ გენუაში გაისეირნა და ერთ-ერთ მყუდრო რესტორანში ივახშმა. ტოპმიოლერის თქმით, ასეთი განტვირთვა ფეხბურთელებზე უთუოდ დადებითად იმოქმედებს.

და ბოლოს: უეფას გადაწყვეტილებით, 13 ოქტომბრის იტალია — საქართველოს ესპანელი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი კარლოს მეხია დავილა იქნება, ასისტენტები — ხუან კარლოს ხიმენესი და პედრო მედინა ერნანდესი, მეოთხე მსაჯი — ანტონიო პერესი. უეფას დელეგატი ბერძენი გეორგიოს ბიკასია.

**ძახა ზალამბერიძე**

# იტალიას იუვენტუსი გამოუკეთდა

## დონადონიმ დელ პიერო სკამს ააცილა

**სასიამოვნო** დღე იყო რობერტო დონადონისთვის: იტალიის ნაკრების თავკაცს ექიმმა ანდრეა ფარეტიმ ახარა, ვინჩენცო იაკინტაც და ჯორჯო კიელინიც სალსალამათნი არიან და საქართველოსთან თამაში შეუძლიათო. არადა, სამი დღის წინ იაკინტა ნაკრების ვარჯიშს გამოეთიშა, ხოლო კიელინის გუშინწინ საზარდული ასტკივდა და დაისვენა.

მოკლედ, „იუვენტუსის" ორივე ფეხბურთელი გუშინ სრული დატვირთვით ვარჯიშს შეუდგა და, სავარაუდოდ, ორივენი ძირითადში დაიწყებენ ქართველებთან მატჩს.

მცირე ტრავმა აწუხებდა „მილანის" ნახევარმცველ მასიმო ამბროზინისაც, თუმც იგი გუშინწინვე მომჯობინდა.



AFP

ტრავმა-დისკვალიფიკაცია გასაგებია, მაგრამ დონადონის მიერ რამდენიმე ვარსკვლავის არგამოძახებამ ბევრი გააკვირვა: პირველ რიგში, ალესანდრო დელ პიეროზე ისმის კითხვები.

„არც დელ პიეროსთვის, არც ფილიპო ინძაგისთვის და არც სხვა კანდიდატისთვის ნაკრების კარი არ დამიხურავს. უბრალოდ, ახლა ასეთი არჩევანი გავაკეთე" — თქვა დონადონიმ.

„სკუადრას" მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი კი „პინტურიკოს" არგამოძახებას ასე ხსნის: „ვხვდები, დონადონის სათადარიგოთა სკამზე დატოვებით არ უნდოდა დელ პიეროს დამცირება, ესაა ერთადერთი მიზეზი. ალესანდროს ჯერ არ უთქვამს საბოლოო სიტყვა ნაკრებში, ის დაბრუნდება და თავისას დაამტკიცებს".

ფაბიო კანავაროს არყოფნაში, იტალიას სწორედ ბუფონი უკაპიტნებს. ჯიჯი დარჩენილ სამ ევროშესარჩევ მატჩს ფრთხილად ეკიდება: „ისედაც ყველაზე ძლიერ ჯგუფში მოვხვდით და ამასთან, ზოგიერთმა ნაკრებმა თავის შესაძლებლობებს გადააჭარბა, იმდენად კარგად ითამაშა. ქაღალდს თუ დავხედავთ, ორი ადვილი მატჩი გვაქვს: საქართველოსთან და ლიტვასთან. ყველაფერი იქით მიდის, რომ გადამწყვეტი შეხვედრა გლაზგოში გვექნება შოტლანდიასთან, თუმც ახლა მხოლოდ საქართველოსთან მოგებაზე ვფიქრობთ".

**ილია ნანობაშვილი**

# თამაზ კოსტავა გამოწერეს!



**3 სექტემბერს** „დინამო" — „მერანის" (3:0) მატჩის შემდეგ მერანელთა მთავარი მწვრთნელი თამაზ კოსტავა შეუძლოდ გახდა და რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. „ოქროს დინამოელმა" მცირე ხანში ინსულტი და მიკროინფარქტი გადაიტანა.

კოსტავას მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო და გულზე ოპერაცია სჭირდებოდა, თუმცა ავადმყოფის მდგომარეობა ამის გარისკვის საშუალებას არ იძლეოდა. მერე ითქვა, ოპერაცია ავსტრიაში გაკეთდებაო, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი თბილისში ჩატარდა.

მადლობა ღმერთს, ოპერაციამ კარგად ჩაიარა და, როგორც შევიტყვეთ, თამაზ კოსტავა საავადმყოფოდან უკვე გამოწერეს — იგი თავს საგრძნობლად უკეთ გრძნობს.

**ნუგზარ ლოლაძე**



# ქართველების რუბინში რევოლუციას ელიან

## სალუქვაძე ერთ თვეში ითქმება

**ყაზანის** „რუბინის" ხელმძღვანელობას გუნდის შედეგები არ აკმაყოფილებს, გაცილებით მეტი სურს, ვიდრე რუსული პრემიერლიგის შუაგულში დამკვიდრება და ინტერტოტოს საგზურისთვის ბრძოლაა.

ამაში გასაკვირი არაფერია, რაკილა „რუბინი" ბიუჯეტით რუსეთში მეხუთე კლუბია, მხოლოდ ცსკა-ს, „ლოკომოტივს", „სპარტაკსა" და „ზენიტს" ჩამორჩება.

გავრცელდა ცნობა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ სათათრეთის გუნდის შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადასხვაფერდება, ანუ ბევრ ფეხბურთელს გაუშვებენ. ჩვენ ეს იმიტომ გვაინტერესებს, რომ „რუბინში" ორი ქართველი თამაშობს: მეკარე ნუკრი რევიშვილი და მცველი ლაშა სალუქვაძე.

რევიშვილს ხანგრძლივი კონტრაქტი აქვს კლუბთან, სალუქვაძეს კი წლის ბოლოს უმთავრდება.

„სალუქვაძეს და ბრაზილიელ კასტოს დეკემბერში უმთავრდებათ ხელშეკრულება, მისი გაგრძელების საკითხი კი ღიადაა. თუ თანამშრომლობა გაგრძელდება, ეს ალბათ, ერთ თვეში უნდა მოხდეს" — წერს რუსული პრესა.

**ილია ნანობაშვილი**

# მაკლიშს სამიდან ერთი ფინალი თბილისში აქვს

**„ევროშესარჩევის** დასრულებამდე სამი ფინალი დაგვრჩა, ორი გლაზგოში და ერთიც თბილისში" — ეს შოტლანდიის ნაკრების თავკაცის, ალექს მაკლიშის სიტყვებია.

სქოთები 13 ოქტომბერს უკრაინას მასპინძლობენ, 17-ში საქართველოს სტუმრობენ, ბოლოს კი შინ იტალიას დაუხვდებიან. მაკლიშმა ორიოდ სიტყვა საქართველოს ნაკრებზეც თქვა, ვიცი, უძნელესი თამაში გველისო.

„ქართველებს ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავთ, შემადგენლობაში პრობლემები აქვთ, მაგრამ მე ვნახე, როგორ ითამაშეს მათ სექტემბერში უკრაინასთან ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის გარეშე. თბილისში სტუმართმოყვარეობის იმედი არ გვაქვს, თუმც მძიმე მატჩს უნდა გავუძლოთ. ჩვენ აქამდე ბრწყინვალედ ვერეოდით თავს და რადაც უნდა დაგვიჯდეს, ოქტომბრის თვეშიც უნდა შევინარჩუნოთ ხარისხი".

ისე, ცნობისთვის, საქართველო — შოტლანდია რუსულ ტელეარხ „რტრ-სპორტზე" პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცემა.

**ილია ნანობაშვილი**

# ლიტვა მამლებთან დანაკლისს ვერ ასცდა

**17 სექტემბერს** საფრანგეთთან გასვლით მატჩში ლიტველებს მოსკოვის ცსკა-ს ნახევარმცველი დეივიდას შემბერასი დააკლდებათ.

შემბერასს საზარდული ასტკივდა და მიუნხენში წავიდა სამკურნალოდ, სადაც, შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირდეს — თუ ასე მოხდა, ლიტველი ვერც 21 ნოემბერს ითამაშებს თბილისში საქართველოს ნაკრებთან.

ბალტიისპირელებს ასევე ლაზარეთში ჰყავთ იტალიური „ბრეშას" მარიუს სტანკიავიჩუსი და შოტლანდიური „ჰართსის" დეივიდას ჩესნაუსკისი, ხოლო „ჰართსისვე" შაულიუს მიკოლიუნასს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს.

ლიტველთა თავკაცმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა დანაკლისი ლატვიური „მეტალურგსის" ორი ფეხბურთელით, დარიუს მიცეიკათი და ტომას ტამოშაუსკასით შეავსო.

**ილია ნანობაშვილი**

**ინგლისი**
კონფერენსლიგა
XVI ტური
ოქსფორდი 3:3 ტორკი

**ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატი**
VI ჯგუფი. IV ტური
შოტლანდია 3:0 ლიტვა

**მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. საკვალიფიკაციო წრე**
კამბოჯა 0:1 თურქმენეთი

# სიონს რასიზმი ყელში ამოუვიდა





გასტონ ევოჩეს, ბოიომო ფრიდოლინის და ერიკ რომეო ჩასემს ქუჩაში არა, მაგრამ მოედანზე შეურაცხყოფენ

## კამერუნელებმა ქიციც იციან და ქიცმაცურიც: ქართული ტკბილი სიტყვაც ესმით და გინებაც

**რასიზმი — ტენდენცია, რომელსაც მთელი მსოფლიო ებრძვის, ებრძვის ფიფა-უეფაც და მაინც მაინც ვერ ერევა ბოლომდე. სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონატშიც ვაწყდებით მსგავს პრეცედენტენტებს. აგერ, ამასწინათ ზუგდიდში, „მგლები“ — დინამოს“ მატჩისას სტუმართა გაბონელ ფავორიტ ჟორჟ აკირემის მიმართ შეურაცხყოფაზე გაკვრით ითქვა, თუმც რატომღაც დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია... ყველაფერი მალევე ჩაიფარცხა.ახლა კი ბოლნისის „სიონის“ შავკანიანი ლეგიონერები და მთლიანად კლუბია აღშფოთებული...**

გუშინ ბოლნისელთა ფეხბურთელებმა კლუბის ხელმძღვანელებთან ერთად კრება გამართეს — მეტისმეტად მძაფრი სახე მიიღო კამერუნელების, ბოიომო ფრიდოლინის და ერიკ რომეო ჩასემის მიმართ შეურაცხყოფებმაო.

შეგახსენებთ, ქვემოქართლელთა გუნდში მესამე კამერუნელიცაა — გასტონ ევოჩე, რომელსაც კარგახანს ტრავმა ჰქონდა.

უფრო დეტალურად „სიონის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა:

— არა მარტო შავკანიანმა ლეგიონერებმა, „სიონის“ ყველა ფეხბურთელმა მოითხოვა კრების ჩატარება. ფრიდოლინი, ჩასემი და ევოჩე ადრეც უჩიოდნენ რასიზმს, მაგრამ თავს იკავებდნენ, ბოლო დროს კი მსგავსი ფაქტები გახშირდა და ვერ ეგუებიან. მეტოქე გუნდები სარგებლობენ და პროვოკაციაზე აგებენ ჩვენს ლეგიონერებს. აი, შარშან ჩასემმა თავი ვერ შეიკავა, იგი მსაჯმა გააძევა და ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ბოლო ტურში, თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები განგებ შეურაცხყოფდნენ ფრიდოლინის, მანაც თავი ვერ შეიკავა, ირაკლი სამხარაძეს შეაგინა და ორივე გააძევეს. შედეგად, ფრიდოლინიმ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. არ ვიცი, სამხარაძე რამდენად დიდი ძალაა „ლოკომოტივისთვის“, მაგრამ ფრიდოლინი ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მცველია და მისი არყოფნა საკმაოდ დაგვეტყობა...

...გამუდმებით აგინებდნენ ჩვენს კამერუნელებს „მესხეთის“ სტადიონზეც. ჩასემმაც, ფრიდოლინიმაც და ევოჩემაც ქართული უკვე ისწავლეს, ნებისმიერ უხამს გამონათქვამს იგებენ და ატანა აღარ შეუძლიათ...

...ჩვენ საგანგებო განცხადებას გავაკეთებთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტში, სადაც მოვითხოვთ, რომ მსაჯებისგან დაცულნი იყვნენ შავკანიანი ლეგიონერები. მსაჯებმა რასიზმის გამოვლენისთანავე უნდა გააძევონ ფეხბურთელი. მგონი, ამაში უცნაური არაფერია. ვფიქრობ, ამ საქმეში „სიონს“ „დინამო“, „ზესტაფონი“ და „ოლიმპიც“ უნდა ამოუდგნენ მხარში, მათაც ხომ ჰყავთ შავკანიანი ლეგიონერები.

ვნახოთ, რამდენად მოერევიან მსაჯები ამ უზნეო ტენდენციას. საქართველოს ჩემპიონატში მაინცდამაინც ხშირად ვერ ნახავთ, მსაჯები გინებისთვის აძევებდნენ ფეხბურთელს — მეტოქე ფეხბურთელის მიმართ კი არა, ზოგჯერ პირადად რომ შეურაცხყოფენ, იმასაც პატიობენ.

რაც შეეხება „სიონის“ სხვა ამბებს: დღეს გიორგი ყიფშიძის გუნდი ბოლნისში „ამერს“ გაეჯიბრება ამხანაგურად, 14 ოქტომბერს კი რუსთავში „ოლიმპთან“ გამართავს საკონტროლო მატჩს.

**ილია ნანობაშვილი**

# ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი

# გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!

**სოსო გულუა ზუგდიდიდან**

**სამეგრელოსა** და აფხაზეთის ნაკრებთა საქველმოქმედო მატჩს ორიათასამდე გულშემატკივარი დაესწრო.

როგორც ითქვა, ბილეთებიდან შემოსული თანხა მთლიანად აფხაზეთის საჯარო სკოლებსა და ბავშვთა დაწესებულებებს გადაერიცხებათ. მატჩის ორგანიზატორები სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აფხაზეთის სამხარეო ადმინისტრაცია იყვნენ ნაციონალურ მოძრაობასთან და რამდენიმე ბიზნესმენთან ერთად.

თავიდან გულშემატკივრები ფოლკლორულმა ანსამბლმა „ჩელამ“ გაამხიარულა ქართული ცეკვებით, შემდეგ კი სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტები, სერგო კვარაცხელია და მურად ანჯაფარიძე მიესალმნენ ხალხს. შესრულდა ეროვნული ჰიმნი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას.

ახლა ორიოდ სიტყვა თამაშზეც ვთქვათ: აფხაზეთის ნაკრებმა მატჩი თავიდანვე მაღალ ტემპში დაიწყო და უპირატესობასაც დაეუფლა, მეგრელებმა კი კონტრშეტევაზე თამაში არჩიეს.

უნდა ითქვას, რომ ორივე გუნდის დაცვა საიმედოდ იდგა. აფხაზეთის მკვიდრებმა საჯარიმოში შესასვლელი გზა რომ ვერ იპოვეს, შორეული დარტყმებით სცადეს ფონს გასვლა — გიორგი გულორდავას, დენის დობროვოლსკის და ბესიკ ქარდავას დარტყმებს შედეგი არ მოჰყოლია.

მეგრელებმა მეტი სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს — ვლადიმერ ჯოჯუამ უპასა გიორგი ჭედიას, მაგრამ მისი დარტყმული ოდნავ ასცდა კარს.

ტაიმიც უგოლოდ მიილია.

მეორე ნახევარში მწვრთნელებმა ბლომად შეცვლები განახორციელეს და შეტევებზეც გააკეთეს აქცენტი.

51-ე წუთზე როინ ონიანის ჩაწოდებულ ბურთს თავი შეაგება ჭედიამ, მაგრამ ზურაბ ქვაჩახიამ იყოჩაღა. იმავ ქვაჩახიამ პაატა ბაკარანძესაც არ გაატანინა.

მალევე მანუჩარ ივარდავას მოუხდა თავისი გუნდის გადარჩენა, როცა გიზო ჯელაძის დარტყმული ბურთი ცხრიანიდან ჩამოხსნა.

მატჩის ბოლო ათ წუთში კი გუნდებმა თითო გოლი გაიტანეს — შეცვლაზე შესულმა ნორაკიძემ 81-ე წუთზე მარცხენა ფრთაზე მცველს აწაპნა ბურთი და ჯანაშიას გადააწოდა. მისი დარტყმული ივარდავამ უხერხულად მოიგერია, ბურთი ხარიხას მოხვდა, დამატებაზე კი იმავ ჯანაშიამ ივარგა და — 0:1.

მასპინძლები შეტევაზე გადავიდნენ და მალევე საწადელსაც მიაღწიეს. 84-ე წუთზე საჯარიმოს მისადგომებთან დანიშნული საჯარიმო გოლად წურწუმიამ აქცია — 1:1.

მატჩის შემდეგ საუკეთესო მოთამაშეებს, ქვაჩახიას და ჯოჯუას სამახსოვრო პრიზები გადაეცათ.

ზუგდიდი. 11 ოქტომბერი. 16 საათი. გ. თუთბერიძე. 2 000 მაყურებელი

**სამეგრელო 1:1 აფხაზეთი**

0:1 გ. ჯანაშია (81), 1:1 წურწუმია (84)

| | |
|---|---|
| სამეგრელო: ივარდავა (მგლები), ექონია (მგლები), საჯაია (ზესტაფონი), ნარსია (მგლები), აკობია (ბორჯომი), დ. ქირია (მგლები), ჯოჯუა (მგლები), მალიჩავა (ლოკომოტივი), რ. ონიანი (ზესტაფონი), ჭედია (მგლები), ბაკარანძე (მგლები) | აფხაზეთი: ქვაჩახია (ამერი), რიგვავა (ოლიმპი), გვაძაბია (ამერი), ჩიკვილაძე (ამერი), კაკუბავა (დინამო), გულორდავა (ლოკომოტივი), გ. ჯელაძე (ამერი), დობროვოლსკი (ამერი), ფიფია (ზესტაფონი), ქარდავა (სიონი), ქუცურუა (სიონი) |
| შეცვლაზე შევიდნენ: ქითანავა (მგლები); გაბედავა (მგლები), კუტალია (მგლები), წურწუმია (მგლები), ქომეთიანი (მგლები), ლიპარტია (მგლები), ვართაგავა (მგლები) | შეცვლაზე შევიდნენ: კოპალიანი (ოჩამჩირე), შარანგია (ზესტაფონი), ფარფალია (სოხუმი), ლ. ბოჯგუა (ამერი), გ. ჯანაშია (ტორპედო), ჯლარკავა (მგლები), ნორაკიძე (სოხუმი), ჯონჯუა (სქური) |
| მწვრთნელი: ბესიკ შეროზია (მგლები) | მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე (ამერი) |

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ვლადიმერ დვალიშვილის (მარჯვნივ) გოლი



[illegible] კოპალიანის ფოტოები

თანანაკრებელთა ვარჯიშს თვალი ტრავმირებულმა ამერელმა ბესიკ ჩიმაკაძემაც ადევნა

# საქართველოს მწვანეები

## ახალგაზრდებმა ერთმანეთი გამოსცადეს

**საქართველოს** ახალგაზრდულ ნაკრებს 16 ოქტომბერს ყაზახეთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა და ეს რამდენიმე დღეა, საამმატჩოდ თბილისში ემზადება.

გუშინ ნაკრების ხორვატმა თავკაცმა პეტარ სეგრტმა „მერანის" ახალ სტადიონზე 23 ფეხბურთელი იახლა, ორად გაყო და ერთმანეთს შეაჯიბრა.

ამ ორმხრივის მთავარი მსაჯი თორნიკე გვანცელაძე იყო, მას კი ორი გოგონა-მსაჯი ეხმარებოდა — ხათუნა მაისურაძე და ქეთი გაიპარაშვილი და, უნდა ითქვას, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებს ურიგოდ სულაც არ უმსაჯიათ.

სეგრტმა შემადგენლობები ასე გაანაწილა: *მ. ალავიძე (სეფიაშვილი), თავბერიძე, ხიდეშელი, ჩიხრაძე, ელბაქიძე, აფრიამაშვილი, ქ. მახარაძე, კახელიშვილი, ჩირიკაშვილი, ბარაბაძე, დვალიშვილი.*

და მეორე თერთმეტეული: *ლორია, თომაშვილი, გ. კაშია, ლობჟანიძე, გ. ფოფხაძე, კლიმიაშვილი, ნავალოვსკი, შ. გრიგალაშვილი, კობახიძე, გ. მერებაშვილი, ბ. გოცირიძე.*

ორივე ტაიმმა საკმაოდ ნორმალურ ტემპში ჩაიარა. პირველ წუთებში ხიფათი არც ერთ კართან არ ყოფილა. ბრძოლა ძირითადად მოედნის ცენტრში მიდიოდა, თუმც ფეხბურთელები არც ხისტ თამაშს ერიდებოდნენ.

მე-20 წუთზე ბექა გოცირიძის სახიფათო დარტყმული ასცდა კარს. მალევე იყო ლადო დვალიშვილის პასუხი, თუმც დავით ლორიამ იყოჩაღა.

მშრალი ანგარიში დიდხანს აღარ ყოფილა: მარცხენა ფრთიდან გიორგი ელბაქიძემ გრძელი გადაცემით ბურთი საჯარიმოში ჩააგდო, იქ რევაზ ბარაბაძემ ყველას დაასწრო და ბრიტანულ სტილში თავით დაუგდო დვალიშვილს, ლადომაც ერთი შეხებით გაიტანა.

მწვანე მაისურებით მოთამაშე დაწინაურებულმა გუნდმა უფრო მოუმატა მოძრაობას და ბურთიც მეტ-წილად მათ ჰქონდათ.

ანგარიში ტაიმის ბოლოს გათანაბრდა. ირაკლი კლიმიაშვილი მარჯვენა ფრთაზე გაიჭრა და ისეთი პასი დაუხატა გოცირიძეს, ბექას რომ არ გაეტანა, დანაშაული იქნებოდა.

ტაიმის დასრულებამდე გიორგი მერებაშვილს „ლურჯების" დაწინაურებაც შეეძლო, მაგრამ ზედმეტი მოინდომა და შანსი გაანიავა.

მეორე ნახევარი დიდი ხნის დაწყებული არ იყო, „მწვანეები" ისევ რომ დაწინაურდნენ: საგოლე პასი ისევ ელბაქიძის იყო, რევაზ ხარაბაძემ მცველს აჯობა და — 2:1.

მერე მწვრთნელებმა რამდენიმე ფეხბურთელი გუნდებში გადაანაცვლეს, თუმც ამას თამაშის ხასიათი დიდად არ შეუცვლია.

მატჩის მიწურულს კი გიორგი კახელიშვილმა პენალტი გაიტანა და საბოლოოდ 3:1 „მწვანეთა" სასარგებლოდ.

**ნუკრი ლოლაძე**

# მე მიყვარს საქართველო!

## პეტარ სეგრტი ყაზახეთის სანახავად რუსეთში მიდის

### საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ორმხრივი თამაშის შემდეგ პეტარ სეგრტს გავესაუბრეთ და ბიჭების მზადებაზე გამოვკითხეთ...



[illegible] კოპალიანის ფოტოები

— დღევანდელ თამაშზე რას იტყვით?

— ძალიან კმაყოფილი ვარ. ყველაზე მეტად რამაც აღმაფრთოვანა, ტემპი იყო. ფეხბურთელები ყველაფერს სისწრაფეში აკეთებდნენ, ბრძოლაც კარგი იყო, აზროვნებაც დამაკმაყოფილებელი... მატჩის მთავარმა მსაჯმაც კი აღნიშნა, რომ ტემპი მისთვის სიურპრიზი იყო. ვფიქრობ, გოლებიც ლამაზი გავიდა. რაც შევიკრიბეთ, ეს მეხუთე ვარჯიშია და ვატყობ, ბიჭები თანდათან უმატებენ..

— როგორ ფიქრობთ, კიდევ შეუძლიათ მომატება?

— საყურადღებო იცით რა არის? ოცდასამივე ფეხბურთელი თითქმის თანაბარი ძალისაა. ჩვენს გუნდში დიდი კონკურენციაა, რაც ძალიან მახარებს. ამას დაუმატეთ ის ხუთი ფეხბურთელი, რომელიც ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული, რამდენიმე კიტრავმირებულია: მირზა ბჟალავა, მათე ლვინიანიძე, ბესიკ ჩიმაკაძე, რატი წინამძღვრიშვილი. ასე რომ, ეს გუნდი თანდათანობით იზრდება.

— ფიქრობთ, რომ 16 ოქტომბერს ყაზახეთში სამი ქულის აღება არ უნდა გაგვიჭირდეს?

— უეჭველ სამ ქულას ვერავისთან დავგეგმავთ. რა თქმა უნდა, ყაზახეთში მოსაგებად მივდივართ, მაგრამ დღეს ძნელია იმის თქმა, რომ უსიკვდილოდ გავიმარჯვებთ. თუ ფეხბურთელებმა ბოლომდე მოინდომეს და იბრძოლეს, მჯერა, მოგებას შევძლებთ.

— ყაზახეთის გარდა, ჯგუფში კიდევ სამი მატჩი გაქვთ დარჩენილი. რომელ ადგილს გეგმავთ?

— მეორე ადგილზე გასვლის შანსი გვაქვს და ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ორი პრინციპული მატჩი დაგვრჩა: რუსეთთან და პოლონეთთან. ამ მატჩებში ქულათა მაქსიმუმი უნდა დავაგროვოთ.

— ახლოვდება ის დრო, როცა უნდა გადაწყდეს, გაუგრძელებენ თუ არა კონტრაქტს ეროვნული ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერს. თუ გერმანელი სპეციალისტი აქ გააგრძელებს მუშაობას, თქვენც დარჩებით?

— მე საქართველოზე შეყვარებული კაცი ვარ, მაგრამ ჩემი წასვლა-დარჩენის საკითხი ფეხბურთის ფედერაციამ უნდა გადაწყვიტოს და თუ ისინი ისურვებენ, რომ მუშაობა გავაგრძელო, ამას დიდი სიამოვნებით დავთანხმდები.

— ყაზახეთში როდის მიდიხართ?

— 15 ოქტომბერს ჩარტერული რეისით მივფრინავთ.

— ხვალ ყაზახეთი რუსეთს ეთამაშება სტუმრად. ამ თამაშის სანახავადაც ხომ არ მიდიხართ?

— პატარა პრობლემები გვქონდა ვიზის მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა რუსეთის საელჩომ საბოლოოდ მაინც გვითხრა დადებითი პასუხი და მოსკოვშიც ხვალვე ჩავალ.

**ნუკრი ლოლაძე**




ბობი ჩარლტონი

# მაიკლ ოუენის პრობლემები

**მაიკლ ოუენზე** გვინდა გესაუბროთ. ინგლისის ნაკრებისა და „ნიუკასლ იუნაიტედის" თავდამსხმელმა „კაჭკაჭთა" მწვრთნელ სემ ალარდაისს ბოდიში არ მოუხადა და მათ შორის უფსკრული კიდევ უფრო გაღრმავდა.

კონფლიქტის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ტრავმამოშუშებულმა ოუენმა როცა გაიგო, ინგლისის ნაკრებში მაინც მიძახებენო, მოედანზე გასვლა იჩქარა, ალარდაისმა კი არ გაუშვა — კვირას, „ნიუკასლისა" და „ევერტონის" შეხვედრაში ის სათადარიგო გახლდათ. ალარდაისმა ისიც თქვა, ოუენს „ნიუკასლში" თამაშზე მეტად ინგლისის ნაკრებში თამაში უნდაო.

„რისთვის მოვიხადო ბოდიში, იმისთვის, რომ ინგლისის ნაკრებში მინდა თამაში?! — განრისხდა თავდამსხმელი, რომელიც ამტკიცებდა და ამტკიცებს, რომ იმ დღეს სათამაშოდ მზად იყო — კაცის სათადარიგოთა სკამზე დასმა მწვრთნელის გადასაწყვეტია და ამ გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცე, მაგრამ იმისგან, რომ „ევერტონთან" სათამაშოდ სრულიად ვიყავი მზად, უკან ერთი ნაბიჯით არ დავიხევ".

შევახსენებთ, რომ ოუენმა თიაქრის ორმაგი ოპერაცია გაიკეთა.

„თუკი ოდესმე რამე მეჩქარება, — განაგრძო ვარსკვლავმა — ეს ჩემი ქვეყნის სახელით თამაშია. საერთოდაც, ფეხბურთელის კარიერა მოკლეა და ამიტომ ყოველ მატჩს, ყოველ გოლს ვეშურები. მე ვერ მოვიქცევი იმ ხალხივით, ვინც ინგლისის ნაკრებში თამაშსაც ცდის და მეტი არაფერი. რაც შეეხება ტრავმას, ის აღარ მაწუხებს. იმ ხუთშაბათის შემდეგ დიდი დრო გავიდა. პარასკევს ოპერაცია გავიკეთე, შაბათს სახლში წავედი, კვირას ვიარე, ორშაბათს ვიძუნძულე, შემდეგ სპრინტზე გადავედი, ბურთით ვივარჯიშე, გუნდთან ერთად ვივარჯიშე და კვირისთვის აშკარად მზად ვიყავი. მოკლედ, ყველაფერი ისე წავიდა, როგორც ქირურგმა მითხრა, რა დღესაც მიწინასწარმეტყველა, იმ დღეს ვიყავი მზად. და აი, ამ დროს მწვრთნელმა, რომელსაც წესით ხელი უნდა შეეწყო, ხელის შეშლასა და დაბრკოლებაზე გადავიდა. SKY TV-მ ჩემს ქირურგთან ინტერვიუც კი ჩაწერა. მან ყველაფერი დაწვრილებით განმარტა. საერთოდაც, ალბათ ძნელია ეკამათო ადამიანს, რომელსაც ათასობით ასეთი ოპერაცია გაუკეთებია და ზუსტად იცის, ოპერაციის შემდეგ რამდენ ხანში გამოჯანმრთელდება ფეხბურთელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარი თავის მტერი ხომ არ ვარ, ჯანმრთელობის რისკის ფასად რომ მეჩქარა მოედანზე დაბრუნება. ვიმეორებ, ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ მე ნებისმიერ თამაშში მონაწილეობას ვეშურები, გნებავთ „ნიუკასლში" და გნებავთ ნაკრებში. კიდევ, გულდასაწყვეტია, რომ ხალხმა ჩემი მოწადინება სწორად ვერ გაიგო. მეგონა დაინახავდნენ, რომ თამაშს ვეშურები, იტყოდნენ, რომ ოუენმა ტკივილს მალე სძლია და დიდ შეხვედრებში მონაწილეობისთვის მალე გამოჯანმრთელდა, ამის ნაცვლად კი მოვისმინე საყვედური, რომ მე კლუბი არ მაინტერესებს და ასე ვერასოდეს ვერაფერს მოვიგებ".


სემ ალარდაისი და მაიკლ ოუენი

მაგრამ, როგორც ირკვევა მაიკლ ოუენი ასეთებს ნაჩვევია, მას ჯერ კიდევ „ლივერპულში" თამაშის დღეებში გადახდენია მსგავსი ისტორია.

„ეს მაშინ მოხდა, როდესაც მსოფლიოს 98 წლის ჩემპიონატზე საკმაოდ ახალგაზრდამ გოლი გავიტანე. იმ პერიოდში „ლივერპული" პრემიერლიგის ცხრილში მეოთხე თუ მეხუთე ადგილზე იყო, ჩემი თანამეოთახე კი ჯეიმი კარაგერი გახლდათ. მისი ოჯახის წევრები „ლივერპულის" ან „ევერტონის" ფანები არიან, მოკლედ, ქალაქის მასშტაბებში ეტევიან. მაშინ მან ასეთი რამ მითხრა: ხალხი ინგლისის ნაკრებთან იმიტომ გაკავშირებს, რომ სახელ ამ გუნდში გაითქვი და სანამ „ლივერპულთან" ერთად არ მოიგებ რაიმე ჯილდოს, ყოველთვის წამოგაძახებენ, რომ ნაკრების ფეხბურთელი ხარ, აქ კი ვერ იმარჯვებ. სამწუხაროდ, ეს იარლიყი კარიერის ბოლომდე მიმეწება. „ლივერპულის" ქომაგებმა ნამდვილი სითბო მხოლოდ მას მერე მაგრძნობინეს, რაც ამ გუნდთან ერთად „ტრებლი" მოვიგე".

და მაინც, რამდენიც არ უნდა მოიწადინოს ოუენმა, ამა თუ იმ კლუბის სიმბოლოდ, ალბათ, ვეღარასოდეს იქცევა, რადგან... ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში უკვე 40 გოლი აქვს გატანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ 9 და „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული თავდამსხმელის, ბობი ჩარლტონის რეკორდი დაემხობა.

ცნობისთვის: სერ ბობი გუშინ 70 წლისა შესრულდა.

„აშკარაა, თუ მაიკლი არ დაშავდება და ფორმას შეინარჩუნებს, ჩემს რეკორდს დაამხობს და ეს ძალიან მახარებს, რადგან ის დიდი ჩია ვარსკვლავია. მას საქვეყნოდ აქვს დამტკიცებული, რომ გოლების გატანა ჩინებულად ეხერხება. მე მაიკლ ოუენს განსაკუთრებულ პატივს იმიტომაც ვცემ, რომ მან კარიერისთვის საშიში ტრავმა გადაიტანა და მაინც მოედანზე დარჩა. მე ასეთი რამ არასდროს განმიცდია, სერიოზულად არასდროს დავშავებულვარ, მაგრამ ვხვდები, რომ ეს ძალიან დიდ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული".

და კიდევ ერთი: შოტლანდიის ნაკრებისა და „ბირმინგემ სიტის" ფეხბურთელი გარი ოკონორი მაიკლ ოუენს აფრთხილებს, რომ „ლუჟნიკიზე" თამაში მისი კარიერისთვის, შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს. რატომ? მოსკოვის „ლოკომოტივის" ყოფილმა ფეხბურთელმა კარგად იცის, რომ მოსკოვის სტადიონებზე საშინელი მოედნებია.

„მე რომ ოუენი ვიყო, ამ მოედანზე ფეხს არ შევდგამდი — თქვა ოკონორმა — მე, „ლუჟნიკიზე" თამაშიდან სამი ოთხი დღის შემდეგ საშინელ დღეში ვვარდებოდი. აქ უბრალოდ, არ არის ბუნებრივი საფარი და სხეულს გინგრევს. მოკლედ, თუ ვინმეს კუნთების პრობლემები აქვს, „ლუჟნიკიზე" თამაში მისთვის დიდი რისკია".

13 ოქტომბერს, შაბათს ინგლისი ესტონეთს მასპინძლობს, ხოლო 17 ოქტომბერს რუსეთს უნდა ესტუმროს.

**ბაკუნა ძედია**

## VDV-ს ჩელსი მიადგა

„ჩელსის" „ჰამბურგიდან" რაფაელ ვან დერ ვაარტის გადაბირება სურს — წერს „ტუტოსპორტი".

24 წლის ჰოლანდიელს, ვისაც მეტსახელად VDV შეარქვეს, კლუბთან კონტრაქტი 2010-ის ივნისში უმთავრდება.

დედით ესპანელს არაერთხელ უთქვამს, რომ პრიმერადივიზიონში თამაში უნდა და ამ ზაფხულს „ვალენსიას" მაისურაში გამოწყობილიც ნახეს.

აგვისტოში „ვალენსიამ" „ჰამბურგს" 14 მილიონი ევრო შესთავაზა და უარი მიიღო. ახლა საქმეში „ჩელსიც" ჩაერია.

ლონდონური კლუბის ჰოლანდიელი სკაუტი პიტ დე ფისერი და ჩელსელთა მეორე მწვრთნელი ჰენკ ტენ კატე ზამთარში „ჰამბურგთან" შევაჭრებას აპირებენ.

ტენ კატე ორი დღის წინ „აიაქსიდან" გადავიდა ავრაამ გრინტის შტაბში, ვან დერ ვაარტი კი ყოფილი აიაქსელია.

## მენდიმ სამი გაამხილა

**დიდიე დროგბას** აგენტმა ეტიენ მენდიმ დაადასტურა, რომ „რეალს", „მილანს" და „ბაიერნს" ჩელსელი ფორვარდის ყიდვა უნდათ.

„არაერთი ევროპული კლუბიდან დამირეკეს და ტრანსფერის შესაძლებლობაზე მკითხეს. მათ აინტერესებთ, რა ვითარებაა „ჩელსიში" ჟოზე მაურინიოს წასვლის შემდეგ და რას აპირებს დროგბა" — თქვა მენდიმ SKY-სთან ინტერვიუში.

## ლემანი მილიონად

**„არსენალის"** გერმანელი მეკარის იენს ლემანის შეძენას „მანჩესტერ სიტი" აპირებს. სიტელები „მეთოფეებს" ერთ მილიონ გირვანქას სთავაზობენ 37 წლის ლემანში, რომელიც ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება და გუნდიდან წასვლას ლამობს.

მანჩესტერელებს უკვე ჰყავთ სამი მეკარე: კასპერ შმაიხელი, ჯო ჰარტი და ანდრეს ისაკსონი.

გარდა ამისა, „სიტის" მცველმა მიკა რიჩარდსმა განაცხადა, რომ ამ დღეებში კონტრაქტს გაახანგრძლივებს.

## მაკელელე პარიზს ელაპარაკა

**კლოდ მაკელელემ** „ლე პარიზიენთან" განაცხადა, რომ პსჟ-ში გადასვლას არ გამორიცხავს: „ცოტა ხნის წინ პარიზული კლუბის შეფებთან ხანმოკლე საუბარი მქონდა, მაგრამ ჯერჯერობით კვლავ „ჩელსის" ფეხბურთელი ვარ. შესაძლოა, მოლაპარაკება მომავალ სეზონში განვაახლო".

**ვაჟა ხუციშვილი**



მარიშა







ულრიკა

# მარიშა ცოდოა?

**რატომ** ნერვიულობენ 35 წლის, ვნებიანი მარიშა კაუჩის ახლობლები და მეგობრები? იმიტომ, რომ რამდენიმე კვირაა, მათ მეგობარსა და ახლობელს დიდი მექალთანე, 59 წლის შვედი სვენ გორან ერიკსონი შესჩენია და რომანიც გაუბამს. ქალი ამბობს, ჩემსა და სვენს შორის ყველაფერი სერიოზულად არისო, მაგრამ როგორ გინდა დაიჯერო, როდესაც ამავე სიტყვებს, აუ, რამდენი ქალი ამბობდა...

ერთი მეგობარი: „მარიშა ლამაზი გოგოა, კეთილი და ყველა, ვინც მას იცნობს, იმედოვნებს, რომ ის სვენის მორიგ გართობად არ იქცევა. ჩვენ ძალიან არ გვინდა, რომ სვენმა მას გული ატკინოს. არადა, მათი ურთიერთობები, როგორც ჩანს, უკვე ღრმადაა შესული. მარიშა ფიქრობს, რომ ყველაფერი სერიოზულადაა, თუმცა, ვინ იცის, რას ფიქრობს სვენი? ამ კაცს ხომ გარკვეული რეპუტაცია აქვს“.

ახლა უკვე მთელმა ინგლისმა იცის, რომ „მანჩესტერ სიტის“ თავკაცი და ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ორი შვილის დედას ქალაქის „ლოური ოტელში“ უნიშნავს სასიყვარულო პაემნებს. ქალბატონი კაუჩი „სელფორდ სკიპ ჰაიარის“ თანადირექტორია, რომლის მეორე მმართველი მისი ყოფილი ქმარი, 42 წლის ენტონი გახლავთ. მარიშა კაუჩი „მანჩესტერ რესაიკლინგ სენტრის“ შეფიცაა, მოკლედ, ყოჩაღი დეიდაა. ენტონი და მარიშა 2002 წლის აგვისტოში შეუღლდნენ, შარშან კი ერთმანეთს გაეყარნენ, თუმცა ბერიში მდიდრული სახლი მაინც შეინარჩუნეს.

ისე, ენტონიზე მეტად სვენისა და მარიშას ურთიერთობა, ალბათ, შვედის „მუდმივ“ საყვარელს, იტალიელ ნენსი დელოლიოს მიაყენებს ტკენასა და შეურაცხყოფას. რამდენი უნდა ითმინოს ამ ქალმა? ახლახანს, სექტემბერში არ იყო, მანჩესტერის სხვა სასტუმროში სვენი პირმშვენიერ საიმა ანსარისთან რომ გამოიჭირეს? და გახსოვთ, მისი ძველი რომანები ტელეწამყვან ულრიკა იონსონთან, ფეხბურთის ასოციაციის მდივან ფარია ელამთან ან რუმინელ მომღერალ რუშ-ანდრია გალერიუსთან? და ეს ყველაფერი ადვოკატი ნენსი დელოლიოს ზურგსუკან...

უი, მართლა! ერთი კვირის წინ იტალიელი ჟურნალისტი მონიკა კასტი წერდა, სვენთან რვა წელიწადია, რომანი მაქვსო.

მაგრამ ნენსიც რომ მაგარი კერკეტი კაკალია, იცით?

„წყვილი ვართ მე და სვენი — უთხრა მან „ყვითელ“ ჟურნალისტებს ერთი ხნის წინ და დასძინა — მე უამრავი საქმე მაქვს და ამ ყველაფრის კომენტირებისთვის არც მცალია და ეს ყველაფერი არც მაინტერესებს. სხვა ქალებზე წერას, ჯობს, დაწეროთ ჩემზე და იმაზე, მე რითი ვარ დაკავებული“.

და ისევ მარიშას მეგობარი: „სვენი ქალს ისეთ სურათს უხატავს, თითქოს ისინი მალე ცოლ-ქმარი გახდებიან“.

გაგრძელება, ალბათ, იქნება.

**ბაჩუნა ძიძია**



ნენსი



ფარია

# იყიდება ლამპარდი!
## რეალი, იუვენტუსი თუ მილანი?

**ბერნდ შუსტერმა** კარგად იცის, „რეალში“ რა ტიპის ფეხბურთელი სჭირდება — ეს უნდა იყოს თამაშის ორგანიზატორი, უესლი სნეიდერის მსგავსი მოთამაშე, რომელიც ჰოლანდიელს და გუტის კონკურენციას გაუწევს. „ასის“ ვერსიით, შუსტერის შეგირდი ინგლისელი ფრენკ ლამპარდი გახდება.

ლამპარდთან დაკავშირებით „ჩელსიში“ სიტუაცია იდეალური არ გახლავთ. „სტემფორდ ბრიჯზე“ ამ ფეხბურთელს ფულისადმი გადამეტებულ სიყვარულს უკიჟინებენ და, ესპანურ მედიას თუ ვენდობით, ლამპარდის დღეები „ჩელსიში“ დათვლილია. ფრენკს იანვრის სატრანსფერო ბაზარზე მადრიდის „რეალში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებენ.

ადრე ლამპარდის გაყიდვა ზღაპრის ტოლფასი იყო, მაგრამ დღეს რეალობად გადაიქცა. ფეხბურთელმა, რომელმაც გასულ სეზონში 22 გოლი გაიტანა, „ჩელსის“ დატოვება გადაწყვიტა და ამაზე ლონდონური კლუბისგან თანხმობა მიიღო. რომან აბრამოვიჩმა იცის, რომ ლამპარდმა კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება განგებ გააჯანჯლა და სურს, ფრენკის გასხვისებით (ვისაც „ჩელსისთან“ ხელშეკრულებო ვადა 18 თვეში ეწურება) კარგი შემოსავალი ნახოს.

ინგლისში ფრენკი ენატანიობაშიც დაადანაშაულეს. ამბობენ, რომ ჟოზე მაურინიუ „ჩელსიდან“ ჯონ ტერისთან კონფლიქტის შემდეგ წავიდა, ხოლო ლამპარდმა ინფორმატორობა იკისრა და მავან ბრიტანულ გაზეთს სულ დეტალურად ჩაუკაკლა მომხდარი ამბავი. ოღონდ ამაზე მარტო ვარაუდები არსებობს, ოფიციალურად ლამპარდის გაზეთებთან „თანამშრომლობა“ არ დასტურდება.

ახლა ინგლისის ნაკრების წევრის ხელში ჩასაგდებად სამი ევროპული გრანდი იბრძვის. „რეალმა“ ლამპარდის აგენტ სტივ კანტერს წინადადებით „იუვენტუსმა“ და „მილანმა“ მიმართეს. სავარაუდო ფასი 18 მილიონი ევრო იქნება.

**ლადო ხომერიკი**



## ლივერპული შვიდმა დააფიქრა

**„დეილი მირორის“** ცნობით, „ლივერპული“ აფონსო ალვეშის ყიდვაზე ფიქრობს. „ჰერენვენის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა გასულ კვირას „ჰერაკლესთან“ 7 გოლი გაიტანა. ალვეში პიტერ კრაუჩის შემცვლელად მიაჩნიათ, რომელიც ამ სეზონში ცუდად თამაშობს და, შესაძლოა, ზამთარში გაყიდონ. ორი თვის წინ მოსკოვის „ლოკომოტივს“ და „სატურნსაც“ სურდათ ბრაზილიელის შეძენა, მაგრამ „ჰერენვენმა“ 18 მილიონი ევრო მოითხოვა და რუსებს ეძვირათ.

## არსენალის ვალი

**„არსენალს“** „ბარსელონასთვის“ ფულის გადახდა მოუწევს ფრან მერიდას სანაცვლოდ. „მეთოფეებმა“ 15 წლის ნახევარმცველი კატალონიური კლუბიდან 2005-ის სექტემბერში წაიყვანეს, მაგრამ გაირკვა, რომ „ბარსას“ ბიჭთან წინასწარი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული და ამიტომ „არსენალმა“ საკომპენსაციოდ 3 მილიონ 400 ათასი ევრო უნდა გადოს.

## ალონსოს შეუმცირეს

**ესპანეთის** ნაკრების ნახევარმცველ ხაბი ალონსოს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ორამდე შეუმცირეს და 17 ნოემბერს შვედეთთან ევროშესარჩევში ითამაშებს. იგი ირლანდიასთან გასვლით შეხვედრაში გაძევეს და ლატვიასთან, დანიასთან და შვედებთან თამაშები უნდა გამოეტოვებინა.

ალონსო ამჟამად ტრავმირებულია, მაგრამ ნოემბრისთვის გამოკეთდება.

## ძაკერონი კიევში

**ალბერტო ძაკერონის** კიევის „დინამო“ ეპატიჟება. მას უკვე შესთავაზეს კონტრაქტი და იტალიელი თუ დათანხმდა, მომავალ კვირაში ხელს მოაწერს. „დინამომ“ სეზონი ცუდად დაიწყო და ანატოლი დემიანენკო მოხსნეს, მის ნაცვლად კი დროებით იოჟეფ საბო დანიშნეს. ძაკერონის „ლაციოში“, „ტორინოსა“ და „მილანში“ უმუშავია, რომელიც 1999-ში იტალიის ჩემპიონი გახადა.



# სესკი: ბარსას პირველი სამიზნე

**სამომავალსეზონოდ** „ბარსელონას“ ერთ-ერთი მთავარი სატრანსფერო მიზანი სესკ ფაბრეგასი იქნება. „არსენალის“ ნახევარმცველის შეძენის საქმე კლუბის სპორტულ დირექტორ ჩიკი ბეგირისტაინს მიაბარეს.

ბეგირისტაინს თავისი გუნდის ცენტრის გაძლიერება „მეთოფეთა“ შესანიშნავი ფეხბურთელით უნდა, თან „ბარსა“ სესკის ტრანსფერით მარადიულ მტერ მადრიდის „რეალს“ სერიოზულ დარტყმას მიაყენებს — როცა „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტად მოდიოდა, რამონ კალდერონი ამომრჩევლებს სხვა ახალ ფეხბურთელებთან ერთად „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ფაბრეგასის მიყვანასაც დაჰპირდა.

„მარკას“ ვერსით, კატალონიური გრანდი სესკს ადგილს ხავის გასხვისებით გამოუძებნეს. ეს ყველაფერი თურმე „ბარსას“ ახალი სპორტული პროექტის ნაწილია.

ფრანსესკ ფაბრეგას სოლერი ბარსელონელი გახლავთ, 1987 წლის 4 მაისს კატალონიურ არენის დე მარში დაიბადა. სესკი „ბარსელონას“ სკოლაში გაიზარდა, ხოლო 2003 წლის იანვარში ლონდონის „არსენალთან“ გააფორმა ხელშეკრულება. არის ესპანეთის ნაკრების წევრი — „ფურია როხას“ შემადგენლობაში 2006 წლის 1 მარტს ჰქონდა დებიუტი, რითაც კასტილიელთა ეროვნული გუნდის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად იქცა.

**ლადო ხომერიკი**

# ბოდიშიანი დედის გინება

## ხოსე ანტონიო რეიესმა



„ატლეტიკოს“ მწვრთნელ ხავიერ აგირეს ბოდიში მოუხადა. საქმე ის გახლავთ, რომ კვირას პრიმერადივიზიონის მეშვიდე ტურის შეხვედრაში აგირემ „ბარსელონასთან“ მატჩში რეიესი რომ შეცვალა, სევილიელს ეს სასტიკად არ ესიამოვნა და მწვრთნელი უშვერი გინებით შეამკო. მერე სათადარიგოთა სკამთან მისულმა ბოთლს ფეხი ისე გამეტებით ამოსცხო, რომ წყალი გულშემატკივრებს მიაშხეფა სახეში...

„შეცვლა რომელ ფეხბურთელს სიამოვნებს და მეც მათ რიცხვში ვარ. შეიძლება, მწვრთნელმა ჭკვიანური მოსაზრებით გადაწყვიტოს შენი სხვა მოთამაშეთი შეცვლა. შეიძლება, ეს გადაწყვეტილება მცდარიც აღმოჩნდეს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, სათადარიგოებისკენ გაგზავნა ყველას გვწყინს. მე მწვრთნელისთვის არანაირი შეურაცხყოფა არ მიმიყენებია და არც რომელიმე თანაგუნდელს წავჩხუბებივარ. თუ ვინმემ ჩემი საქციელი არასწორად გაიგო, მინდა, აგირეს ბოდიში მოვუხადო“ — განაცხადა რეიესმა.

„ბარსასთან“ მატჩში ხოსე ანტონიოს ენაბილწობა კამერებმა დააფიქსირეს. რეიესმა მერე თქვა, ფეხბურთის თამაშისას კაცი ფიცხდები, ემოციებსაყოლილი თავშეკავებაზე ნაკლებად ფიქრობ და არც ის გახსენდება, ორმოცდაათი კამერა პირში რომ მოგჩერებიაო.

„გიმეორებთ: იმ ეპიზოდში მწვრთნელისთვის არ შემიგინებია. კამერებმა ჩემი ტუჩების მოძრაობით ვითომც დაადგინეს, რომ აგირეს ვლანძღავდი, მე კი ცხელ გულზე ჩვეულებრივად მაგის დედაც-მეთქი, რამდენჯერმე წამომცდა და ეს ხავიერ აგირეს მისამართით არ მითქვამს“ — ამბობს მადრიდული გუნდის მოთამაშე.

**ლადო ხომერიკი**

# ბარსელონა კრკიჩის განათხოვრებას უარობს

**ესპანეთში** ხმა გავრცელდა, რომ „ბარსელონა“ იანვარში ბოიან კრკიჩის იჯარით გასხვისებას აპირებს, თუმცა კატალონიური გრანდის მმართველი საბჭოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მედიასთან საუბარში ეს ინფორმაცია უარყო.

კრკიჩის „ბარსას“ ძირითად გუნდში გამოჩენამ გულშემატკივრები ალაფრთოვანა — ბარსელონელებმა ნახეს, ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების წევრმა როგორ შესანიშნავად გაართვა თავი პრიმერადივიზიონის სირთულეებს.

თუმც, მიუხედავად ბოიანისადმი ფრანკ რაიკარდის ნდობისა, ხმა დაირხა, რომ კატალონიელები ახალგაზრდა ვარსკვლავს იჯარით უპირებდნენ სხვა კლუბში გაგზავნას — იქ, სადაც კრკიჩი უფრო მეტხანს თამაშს მოახერხებდა.

„სპორტთან“ ინტერვიუში „ბარსელონას“ მმართველი საბჭოს წევრმა რაფაელ იუსტემ კრკიჩის შესაძლო წასვლის ამბავი კატეგორიულად იუარა.

„ამას აბსოლუტურად გამოვრიცხავ. როგორც ბოიან კრკიჩმა, ისევე ჯოვანი დოს სანტოსმა ბოლო პერიოდში მშვენივრად ითამაშეს და მათ გაშვებას არ ვაპირებთ“ — თქვა სენიორ იუსტემ.

წარმოშობით სერბმა 17 წლის ბოიან კრკიჩმა წლეულს „ბარსელონას“ შემადგენლობაში ოთხ საპრიმერო და ორ სალიგო მატჩში ითამაშა.

**ლადო ხომერიკი**



# ვილია რეალმა დაადუმა

## ვალენსია 150 მილიონს ითხოვს



**„ვალენსიას“** ფორვარდი დავიდ ვილია ამჯობინებს, მის შესახებ „რეალის“ დაინტერესებაზე საუბრისგან ჯერჯერობით თავი შეიკავოს. „სამეფო გუნდს“ ვილიას შეძენა უნდა, „ღამურები“ კი ამის სანაცვლოდ 150 მილიონ ევროს ითხოვენ.

ცხადია, ესპანურ მედიას მადრიდელთა სატრანსფერო ზრახვანი უყურადღებოდ არ დარჩენია. ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს „რეალის“ ინტერესის შესახებ, ვილიამ მოკლედ უპასუხა: „თავადაც იცით, რომ ამ თემაზე საუბარი არ შემიძლია“.

„რეალსა“ და „ვალენსიას“ შორის ადრე მშვიდობა იყო, თუმცა 1996 წლიდან ამ გუნდებს ურთიერთობა გაუფუჭდათ. „სამეფო გუნდის“ ახლანდელმა სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა მაშინ „ღამურებთან“ კონტრაქტის გაუქმებისთვის გათვალისწინებული თანხა თავად გადაიხადა და თავი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ამოყო. ეს კი „მესტალიაზე“ ღალატად შეაფასეს, რამდენიმე ხნით ადრე მიატოვიჩმა „სამეფო გუნდში“ გადასვლის თეორიულ შანსსაც კი აბსურდული უწოდა.

„ვალენსიას“ მაშინდელმა პრეზიდენტმა პაკო როიგმა კი მადრიდული გრანდი საჯაროდ დაადანაშაულა ფეხბურთელის „მოპარვაში“. ამან კლუბებს შორის უთანხმოება ჩამოაგდო.

მერე იყო ომი გაისკა მენდიეტასთვის, რაც ბასკი ფეხბურთელის „ლაციოში“ გაგზავნით დასრულდა (ფლორენტინო პერესი უზარმაზარ ფულს იხდიდა, თუმცა ვალენსიელებმა „სამეფო თეთრებს“ კატეგორიული უარი განუცხადეს).

**ლადო ხომერიკი**

# ვენესუელელი ბასკი



**ბილბაოელი** ფერნანდო ამორებიეტას თამაში ევროპელებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ. ესპანური მედიის ცნობით, მცველის შეძენით ორი ინგლისური კლუბია დაინტერესებული. ალბიონელებს ესპანეთში თავიანთი მეთვალყურეები გაუგზავნიათ, რომლებიც „ბილბაოს“ ბოლო ორ მატჩს („ვილიარეალთან და „ალმერიასთან“) ამორებიეტას გამო დაესწრნენ.

ხსენებულ კლუბთაგან ერთ-ერთი „ლივერპულია“, რომელიც „სან მამესზე“ მიგზავნილი მეთვალყურის საშუალებით ფერნანდოს უკვე საკმაო ხანია, აკვირდება. ესპანეთში და ინგლისში იციან, რომ რაფაელ ბენიტესი თავისი გუნდისთვის ახალ ფეხბურთელებზე ნადირობს. ამორებიეტა კი 22 წლისაა და „ატლეტიკთან“ კონტრაქტი ამ ზაფხულს გაახანგრძლივა 2011 წლამდე, თუმცა „ასი“ და „მარკა“ ინგლისში მის გადაბარგებას არ გამორიცხავენ.

ამბობენ, რომ ამორებიეტას მალე ესპანეთის ნაკრებშიც მიიწვევენ.

ამორებიეტა ვენესუელაში დაიბადა. მაშინ მისი ოჯახი სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობდა, ხოლო „ბილბაოში“ ფერნანდო 11 წლისა მიიყვანეს. ამორებიეტამ „ატლეტიკის“ ყველა ასაკობრივი გუნდი გაიარა, სანამ ბასკთა ძირითადის წევრი გახდებოდა.

ფერნანდოს დებიუტი „ბილბაოში“ 2006 წლის იანვარში შედგა. მაშინ ბასკთა მწვრთნელი ხავიერ კლემენტე იყო.

**ლადო ხომერიკი**

„იუვენტუსის" ახლანდელ მთავარ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის ბევრი ისევ ეჭვის თვალით უყურებს — ის კაცი არ არის, „ბებერი ქალბატონის" გაწვრთნას რომ იმსახურებდეს და მის ხელში გუნდს მომავალი არ აქვსო. უკვე მის მოხსნაზეც კი საუბრობენ, მაგრამ ფაქტი ერთია: რანიერისთან სასაყვედურო ცოტა რამ თუ ექნება ვინმეს. სერია A-ს 7 ტურის შემდეგ „ბიანკონერი", რომლისგანაც ამ სეზონში მხოლოდ ოთხეულში მოხვედრას ითხოვენ, მეორე ადგილზეა და ლიდერ „ინტერს" ოდენ სამი ქული ჩამორჩება. „გაძეტა დელო სპორტმა" რანიერის ინტერვიუ ჩამოართვა...



# რანიერი გაურემონტებელ სახლში ცხოვრობს...

— „იუვენტუსი" სკუდეტოსთვის იბრძოლებს?

— ივლისში, როცა მომავალი სეზონისთვის მზადებას ვიწყებდით, ამბობდნენ, „იუვე" ჩემპიონატის იმედგაცრუება გახდებაო. ახლა კი დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა და მისი მოგება ძალგვიძს. ვერ გეტყვით, რამდენი პროცენტია ჩვენი შანსი, მაგრამ ამის გაკეთება ყველანაირად უნდა ვცადოთ. რასაკვირველია, გმირობა რომ გამოგვივიდეს, დამატებითი დახმარება დაგვჭირდება.

— რას გულისხმობთ?

— არ იქნებოდა ცუდი, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთმანეთს „ინტერი" და „რომა" შეხვდნენ. ამ შემთხვევაში, მათ სერია A-ს სერიოზული დანაკარგების გარეშე ჩატარება არ გამოუვათ, რაც ჩვენ დაგვეხმარება. თუმცა ვშიშობ, რომ ფრანჩესკო ტოტი და კომპანია ჯერ კიდევ არ არიან მზად ევროპული ფეხბურთის მწვერვალის დასაპყრობად. ვფიქრობ, ამისთვის მათ ლიგაში თამაშის კიდევ ერთი წლის გამოცდილება მაინც დასჭირდებათ.

— და „ინტერს" შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება?

— „ინტერი" ერთ-ერთია სამ მთავარ ფავორიტს შორის, „ბარსელონასთან" და „მილანთან" ერთად. დიახ, სწორედ „მილანი" ვთქვი, მიუხედავად იმისა, რომ „როსონერიმ" სეზონი ცუდად დაიწყო. ევროპა „მილანისთვის" საკუთარი სახლივითაა. როცა ყველა მატჩი ომს ემსგავსება, „შავ-წითლები" ყოველთვის ასი პროცენტით მზად აღმოჩნდებიან ხოლმე. მეოთხე ნახევარფინალისტი კი აუცილებლად ინგლისური კლუბი იქნება. ვფიქრობ, „მანჩესტერ იუნაიტედი".

— თქვენთვის სიურპრიზი იყო „ჩელსიდან" ჟოზე მოურინიუს გაშვება?

— რასაკვირველია. ეს რომან აბრამოვიჩის სტილი არ არის. თუმცა „ჩელსის" სამყაროში მაინც ყოველთვის გაუთავებელი ცვლილებები და სიახლეებია. მახსოვს, როგორ მითხრა ერთხელ აბრამოვიჩმა, გუნდი სისტემატიურად უნდა იცვლებოდესო. სამწუხაროდ „ჩელსი", რომლის ფეხბურთელებსაც ძალიან მაღალი ხელფასი გარანტირებული აქვთ, ამგვარი სტრატეგიისგან ძალიან შორს არის. აბრამოვიჩს ნებისმიერ ფასად ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს და ეგებ უკვე დაიწყო კიდეც შეკითხვების დასმა — შესაძლოა თუ არა ეს ამ სეზონშივე მოხდესო?

— სამუელ ეტოოს ტრავმამ „ბარსელონას" ხელი შეუშალა სეზონის ოთხი ფორვარდით დაწყებაში...

— ამის თაობაზე ფრანკ რაიკარდს ველაპარაკე და ვუთხარი, რომ არ მჯერა ოთხფორვარდიანი „ბარსელონასი". ეტოო, რონალდინიო, ლიონელ მესი და ტიერი ანრი ერთად ეფექტურები, შესაძლოა, მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში იყვნენ, როცა მატჩი ცუდად აეწყობა და ვა-ბანკზე წასვლაა საჭირო. სხვა მხრივ, შეუძლებელია კატალონიელებმა ისეთი სქემით ითამაშონ, რომ ოთხივე მათგანი მინდორზე იყოს, ეს არ გაამართლებს.

— ესპანეთში „ოქროს ბურთს" მესის „აძლევენ"...

— ის, რა თქმა უნდა, ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ წლეულს ამ ჯილდოს კაკა მიიღებს, გაისად კი ზლატან იბრაჰიმოვიჩი. შვედის თამაში ყოველთვის ნამდვილი სპექტაკლია. ასეთი ტიპის თავდამსხმელი ადრე არასდროს მინახავს. მასში თითქმის ყველაფერი საუკეთესოა შეკრებილი, რაც თანამედროვე ფორვარდს სჭირდება. იბრას რონალდინიოს ტექნიკა, პაოლო როსის გოლის ალღო და ძველი ეპოქის ბომბარდირების ძალა აქვს.

— იგი სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდება?

— არა, ამ ჯილდოს დავიდ ტრეზეგე მიიღებს. მასზე ჯერ ძალიან ცოტას ლაპარაკობენ, რადგან ხშირად ჩრდილში ყოფნა უწევს, მაგრამ მერე უცებ გამოჩნდება და... მის ნაცვლად რიცხვები ლაპარაკობენ, ეს რიცხვები კი ფენომენალურ შედეგს აჩვენებენ.

— „იუვეს" უპირატესობას აძლევს ის ფაქტი, რომ ევროსარბიელზე არ თამაშობს?

— თუ შევძლებთ ლიდერთა შორის გაზაფხულამდე ადგილის შენარჩუნებას, სეზონის მიწურულისთვის ჩვენ მეტი ძალა დაგვრჩება, ვიდრე ევროსარბიელზე მოთამაშე კონკურენტებს.

— „იუვენტუსის" ზაფხულში გატარებული სატრანსფერო პოლიტიკით ყველა არ არის კმაყოფილი...

— მათი მესმის, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ ყველაფერი ახლიდან დავიწყეთ. დღევანდელი „იუვენტუსი" ის გუნდი აღარ არის, რომელშიდაც იბრა, ფაბიო კანავარო, პატრიკ ვიეირა, ჯანლუკა ძამბროტა და ლილიან ტურამი თამაშობდნენ. ამ მონსტრებით მოგება ძალიან მარტივი იყო... ის სუპერკლუბი იყო. ახლა კი გუნდი სერია B-დან დაბრუნდა და მხოლოდ 6-7 ახალწვეულის დამატების საშუალება გვქონდა. ვცადეთ, ფული ჭკვიანურად დაგვეხარჯა. ზდენეკ გრიგერა და ჰასან სალიჰამიჯიჩი უფასოდ ჩაგვივარდა ხელში. მგონი, ცუდი არ არის, არა? დანარჩენები ჯერ მხოლოდ ეგუებიან ახალ გუნდსა და მის სტილს. სერხიო ალმირონი და ტიაგუ მენდეში უმატებენ და როცა ბოლომდე ჩაჯდებიან სათამაშო სქემასა და ფორმაში, აუცილებლად შეელევიან „იუვენტუსის" ისტორიაში. მომავალ წელს კი ძველებურად სუპერვარსკვლავების შეძენას შევეცდებით.

— რას გულისხმობთ?

— ექვსი საშუალო დონის ფეხბურთელის მოყვანაზე კი არ ვფიქრებთ, მაგალითად ორ, მაგრამ საუკეთესო მოთამაშეს დავიმატებთ.

— იანვარში თუ აპირებთ ვინმეს შეძენას?

— ნუ ვიჩქარებთ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემისთვის კიდევ ორი თვე გვაქვს.

— რა აკლია ჯერ „იუვენტუსს" „მილანთან", „ინტერთან" და „რომასთან" შედარებით?

— ასე ვიტყოდი: მათ უკვე აქვთ კარგი სახლი და გარემო. მხოლოდ იმაზე უწევთ ფიქრი, თუ რომელი მცენარეები და ყვავილები შეარჩიონ აივნისთვის. ხოლო ჩვენი სახლი შიგნიდან ჯერ მოწყობილიც კი არ არის, მაგრამ პროექტში იგი ძალიან კარგი და ლამაზია.

— ალესანდრო დელ პიერო დარჩება?

— კითხვაზე კითხვითვე გიპასუხებთ — წარმოგიდგენიათ „რომა" ტოტის გარეშე? თქვენი პასუხი იქნება, არა. ასეა დელ პიეროს შემთხვევაშიც, „იუვესგან" მისი მოშორებით წარმოდგენა შეუძლებელია. ვფიქრობ, უკვე მიჩვეულნი უნდა ვიყოთ, რომ კონტრაქტის გახანგრძლივებისას ყოველთვის არის ამგვარი შეუთანხმებლობა მოთამაშესა და ხელმძღვანელობას შორის, საგანგაშო არაფერია. მირჩევნია, დელ პიეროზე, როგორც ფეხბურთელზე, ისე ვისაუბრო. ალექსი სხვებისთვის სამაგალითო მოთამაშეა.

— ჯანლუიჯი ბუფონზე რას იტყვით?

— იგი კარგი ვაჟივითა, როგორის აღზრდაზეც ყველა ოცნებობს. მას ვიშვილებდი კიდეც და ტურინის რესტორნებში ჩემი გიდი იქნებოდა, ჯიჯიმ ყველა რესტორანი იცის. ბუფონზე, როგორც ფეხბურთელზე კი, არაფერს ვიტყვი, იგი და მისი შესაძლებლობები მთელმა მსოფლიომ კარგად იცის.

— ცოტა ხნის წინ არფო საკიმ თქვა „იუვე" კარგად ვერ თამაშობსო...

— ვეთანხმები, თუ მისი კომენტარი მარტო „ტორინოსთან" დერბის ეხებოდა. მთლიანობაში კი, ამჟამინდელი „იუვე" ძალიან ხალისიან ფეხბურთს თამაშობს და ახლა მეორე ადგილზეა. მით უმეტეს, ისეთ მნიშვნელოვან ფეხბურთელს, როგორიც გუნდისთვის მაურო კამორანეზია, ტრავმის გამო მიმდინარე სეზონში ჯერ თითქმის არ უთამაშია. მოკლედ, პირადად მე ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ.

— მსაჯობასაც შევეხოთ...

— უნდა ვაღიარო, რომ მეშინოდა, „იუვეს" კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ კიდევ დიდი ხანი მოუწევს დასჯილად ყოფნა-თქო. მეშინოდა, რომ მსაჯები ჩვენთან მიმართებაში განსაკუთრებულად პრინციპულნი და მკაცრნი იქნებოდნენ, რათა ვინმეს ისინი „იუვესადმი" კეთილგანწყობაში არ დაედანაშაულებინა. თუმცა აღმოჩნდა, რომ არბიტრები ზუსტად ისე გვეპყრობიან, როგორც დანარჩენ კლუბებს და ეს ძალიან კარგია.

— გასულ კვირას ფლორენციაში 1:1 ითამაშეთ...

— დიახ. თავის დროზე „ფიორენტინასთან" ერთად იტალიის თასი და სუპერთასი მოვიგე.

— ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ „ფიორენტინას" ყოფილ მფლობელ ვიტორიო ჩეკი გორისთან?

— ვიტორიოს ყოველთვის პატივს ვცემდი და ახლაც პატივს ვცემ. მახსოვს, „ბარსელონასთან" საგარეო მატჩის წინ, სატელეფონო საუბრისას სერიოზულად ვიჩხუბეთ. თამაშის დღეს კი იგი სტადიონზე მოვიდა, მინდორზე შემოვიდა, მომიახლოვდა და მითხრა: „კლაუდიო, მე და შენ ნამდვილი მამაკაცები ვართ". ეს ერთ-ერთი ძალიან ცნობილი ფილმის სათაურივით ჟღერდა. მე კი ვუპასუხე: „ვიტორიო, მე და შენ ძალიან უცნაური წყვილი ვართ". და ორივეს სიცილი აგვიტყდა.

— თქვენი აზრით, მიმდინარე სეზონში რას შეუძლია მიაღწიოს „ფიორენტინამ"?

— ოთხეულში შესვლა შეუძლია და ამით მაინცდამაინც მეოთხე ადგილს არ ვგულისხმობ.

— გამოდის, ახლა „ფიორენტინა" „იუვენტუსის" დონის გუნდია?

— ნამდვილად. ისინი ცოტა წინაც კი არიან და უნდა წამოვეწიოთ. სკუდეტოს მოგებისთვის ჩვენც და „იებმაც" გაუჩერებლივ უნდა ვირბინოთ.

— კიდევ რისი მიღწევა გსურთ, როგორც მწვრთნელს?

— მას მერე, რაც „იუვენტუსთან" ერთად ყველაფერს მოვიგებ, ისღა დამრჩება, კარიერა რომელიმე ნაკრების მწვრთნელად დავამთავრო.

— მაინც რომლის?

— იტალიის გარდა, მოვახერხე მემუშავა ესპანეთსა და ინგლისში. ამ ორი ქვეყნის ჩემპიონატში სერია A-ს დარად, დიდი კლუბები და ბრწყინვალე ფეხბურთელები თამაშობენ. თუმცა ხშირად მეკითხებიან, რატომ ვერ იგებენ ვერაფერს ამდენი ხნის მანძილზე ამ ქვეყნების ეროვნულ ნაკრებები. ასე რომ, შეიძლება ითქვას, კარიერის ბოლოს ინგლისის ან ესპანეთის ნაკრების მწვრთნელად სიამოვნებით ვიმუშავებდი.

## დელ პიერო სერია B-ში? ბრეშია ბაჯო გაიხსენა

**სანამ** ალესანდრო დელ პიერო „იუვენტუსს" ახალ კონტრაქტზე ვერ უთანხმდება და ჯერ კიდევ გაურკვეველია, დარჩება თუ არა იგი „ბიანკონერიში", მისი ახალ-ახალი მსურველები ჩნდებიან.

ამჯერად „ბრეშას" პრეზიდენტმა ლუიჯი კორიონიმ განაცხადა, დელ პიეროს სიამოვნებით დავიმატებდით და მზად ვართ, მას მიმზიდველი წინადადება შევთავაზოთო.

| 15436 | ურუგვაი-ბოლივია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15437 | არგენტინა-ჩილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15438 | ეკვადორი-ვენესუელა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15439 | პერუ-პარაგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15440 | კოლუმბია-ბრაზილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15448 | ისრაელი(21)-გერმანია(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15449 | პოლონეთი(21)-ესპანეთი(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15451 | ავსტრია(21)-კვიპროსი(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15452 | ბულგარეთი(21)-პორტუგალია(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15453 | ნორვეგია(21)-შვეიცარია(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15455 | ბელგია(21)-სლოვაკეთი(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15458 | იტალია(21)-ხორვატია(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15459 | ფარერები(21)-აზერბაიჯანი(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15461 | ლუქსემბურგი(21)-მოლდოვა(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15462 | ფინეთი(21)-სლოვენია(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15464 | თურქეთი(21)-უკრაინა(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15465 | ხორვატია-ისრაელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრის გარეშე (ძირ. დრო)

| No. | Match | | |
|---|---|---|---|
| 16049 | რავენა-ტრიესტინა | 1.40 | 2.55 |
| 16050 | რიმინი-აველინო | 1.10 | 5.50 |
| 16051 | ტრევიზო-ვიჩენცა | 1.40 | 2.55 |
| 16052 | ალბინოლეფე-პიზა | 1.45 | 2.45 |
| 16053 | ასკოლი-კიევო | 1.75 | 1.85 |
| 16055 | ფროზინონე-ბარი | 1.50 | 2.30 |
| 16056 | გროსეტო-მესინა | 1.62 | 2.05 |
| 16057 | ლეჩე-სპეცია | 1.14 | 4.70 |
| 16058 | მოდენა-ჩეზენა | 1.24 | 3.60 |
| 16059 | პიაჩენცა-ბოლონია | 2.20 | 1.52 |
| 16078 | ეხიდო-კადისი | 1.80 | 1.85 |
| 16079 | ლას პალმასი-სევილია ბ | 1.75 | 1.85 |
| 16080 | ელჩე-მალაგა | 2.10 | 1.60 |
| 16081 | სერესი-ტარაგონა | 1.58 | 2.10 |
| 16082 | ალბასეტე-სელტა | 1.95 | 1.70 |
| 16083 | ნუმანსია-სოსიედადი | 1.55 | 2.20 |
| 16084 | სპორტინგი-ფეროლი | 1.25 | 3.40 |
| 16085 | ალავესი-ჰერკულესი | 1.80 | 1.85 |
| 16086 | კორდობა-სალამანკა | 1.32 | 3.00 |
| 16087 | კასტელონი-ტენერიფე | 1.38 | 2.65 |
| 16088 | ეიბარი-გრანადა | 1.38 | 2.65 |
| 16102 | კამბური-იგლზი | 1.65 | 2.05 |
| 16103 | ემენი-ჰელმონდი | 1.58 | 2.10 |
| 16104 | ჰაარლემი-სიტარდი | 1.34 | 2.80 |
| 16105 | ვოლენდამი-დენ ბოსხი | 1.55 | 2.20 |
| 16106 | დორდრეხტი-ომნივორლდი | 1.12 | 4.60 |
| 16107 | მაასტრიხტი-ტელსტარი | 1.24 | 3.60 |
| 16108 | ზვოლე-აპელდორნი | 1.23 | 3.60 |
| 16109 | ეინდჰოვენი-ვალვაიკი | 3.60 | 1.24 |
| 16110 | როზენდალი-ვეენდამი | 1.55 | 2.20 |
| 16111 | ოსი-დენ ჰააგი | 1.95 | 1.65 |
| 16400 | შოტლანდია-უკრაინა | 1.45 | 2.45 |
| 16407 | სომხეთი-სერბეთი | 5.70 | 1.11 |
| 16415 | ისლანდია-ლატვია | 1.45 | 2.45 |
| 16416 | კვიპროსი-უელსი | 1.82 | 1.82 |
| 16420 | რუმინეთი-ჰოლანდია | 2.10 | 1.60 |
| 16421 | მოლდოვა-თურქეთი | 5.80 | 1.08 |
| 16423 | დანია-ესპანეთი | 1.80 | 1.80 |
| 16426 | საბერძნეთი-ბოსნია | 1.02 | 5.00 |
| 16430 | ბელგია-ფინეთი | 1.55 | 2.20 |
| 16431 | ირლანდია-გერმანია | 2.90 | 1.32 |
| 16436 | ურუგვაი-ბოლივია | 1.08 | 5.00 |
| 16437 | არგენტინა-ჩილე | 1.05 | 5.70 |
| 16438 | ეკვადორი-ვენესუელა | 1.17 | 4.10 |
| 16439 | პერუ-პარაგვაი | 1.55 | 2.20 |
| 16440 | კოლუმბია-ბრაზილია | 2.45 | 1.40 |
| 16448 | ისრაელი(21)-გერმანია(21) | 3.30 | 1.25 |
| 16449 | პოლონეთი(21)-ესპანეთი(21) | 2.20 | 1.52 |
| 16451 | ავსტრია(21)-კვიპროსი(21) | 1.12 | 4.60 |
| 16452 | ბულგარეთი(21)-პორტუგალია(21) | 3.60 | 1.24 |
| 16453 | ნორვეგია(21)-შვეიცარია(21) | 1.38 | 2.65 |
| 16455 | ბელგია(21)-სლოვაკეთი(21) | 1.34 | 2.80 |
| 16458 | იტალია(21)-ხორვატია(21) | 1.14 | 4.70 |
| 16459 | ფარერები(21)-აზერბაიჯანი(21) | 2.10 | 1.60 |
| 16461 | ლუქსემბურგი(21)-მოლდოვა(21) | 3.00 | 1.30 |
| 16462 | ფინეთი(21)-სლოვენია(21) | 1.45 | 2.45 |
| 16464 | თურქეთი(21)-უკრაინა(21) | 1.30 | 3.00 |
| 16465 | ხორვატია-ისრაელი | 1.10 | 5.50 |

## გოლი:წყვილი-1ის კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| No. | Match | | |
|---|---|---|---|
| 17049 | რავენა-ტრიესტინა | 1.85 | 1.95 |
| 17050 | რიმინი-აველინო | 1.85 | 1.95 |
| 17051 | ტრევიზო-ვიჩენცა | 1.85 | 1.95 |
| 17052 | ალბინოლეფე-პიზა | 1.85 | 1.95 |
| 17053 | ასკოლი-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ფროზინონე-ბარი | 1.85 | 1.95 |
| 17056 | გროსეტო-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17057 | ლეჩე-სპეცია | 1.85 | 1.95 |
| 17058 | მოდენა-ჩეზენა | 1.85 | 1.95 |
| 17059 | პიაჩენცა-ბოლონია | 1.85 | 1.95 |
| 17078 | ეხიდო-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17079 | ლას პალმასი-სევილია ბ | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ელჩე-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17081 | სერესი-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ალბასეტე-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17083 | ნუმანსია-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | სპორტინგი-ფეროლი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | ალავესი-ჰერკულესი | 1.85 | 1.95 |
| 17086 | კორდობა-სალამანკა | 1.85 | 1.95 |
| 17087 | კასტელონი-ტენერიფე | 1.85 | 1.95 |
| 17088 | ეიბარი-გრანადა | 1.85 | 1.95 |
| 17102 | კამბური-იგლზი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ემენი-ჰელმონდი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ჰაარლემი-სიტარდი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ვოლენდამი-დენ ბოსხი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | დორდრეხტი-ომნივორლდი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | მაასტრიხტი-ტელსტარი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | ზვოლე-აპელდორნი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | ეინდჰოვენი-ვალვაიკი | 1.85 | 1.95 |
| 17110 | როზენდალი-ვეენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17111 | ოსი-დენ ჰააგი | 1.85 | 1.95 |
| 17400 | შოტლანდია-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17407 | სომხეთი-სერბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17415 | ისლანდია-ლატვია | 1.85 | 1.95 |
| 17416 | კვიპროსი-უელსი | 1.85 | 1.95 |
| 17420 | რუმინეთი-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17421 | მოლდოვა-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17423 | დანია-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17426 | საბერძნეთი-ბოსნია | 1.85 | 1.95 |
| 17430 | ბელგია-ფინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17431 | ირლანდია-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17436 | ურუგვაი-ბოლივია | 1.85 | 1.95 |
| 17437 | არგენტინა-ჩილე | 1.85 | 1.95 |
| 17438 | ეკვადორი-ვენესუელა | 1.85 | 1.95 |
| 17439 | პერუ-პარაგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17440 | კოლუმბია-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |
| 17448 | ისრაელი(21)-გერმანია(21) | 1.85 | 1.95 |
| 17449 | პოლონეთი(21)-ესპანეთი(21) | 1.85 | 1.95 |
| 17451 | ავსტრია(21)-კვიპროსი(21) | 1.85 | 1.95 |
| 17452 | ბულგარეთი(21)-პორტუგალია(21) | 1.85 | 1.95 |
| 17453 | ნორვეგია(21)-შვეიცარია(21) | 1.85 | 1.95 |
| 17455 | ბელგია(21)-სლოვაკეთი(21) | 1.85 | 1.95 |
| 17458 | იტალია(21)-ხორვატია(21) | 1.85 | 1.95 |
| 17459 | ფარერები(21)-აზერბაიჯანი(21) | 1.85 | 1.95 |
| 17461 | ლუქსემბურგი(21)-მოლდოვა(21) | 1.85 | 1.95 |
| 17462 | ფინეთი(21)-სლოვენია(21) | 1.85 | 1.95 |
| 17464 | თურქეთი(21)-უკრაინა(21) | 1.85 | 1.95 |
| 17465 | ხორვატია-ისრაელი | 1.85 | 1.95 |



ლევან ახვლედიანი

# ჩვენი წერილი თქვენსას სჯობია...

## ფედერაციებმა პრეზიდენტი პრეზიდენტთან ამხილეს

**გუშინ** ჭიდაობის ფედერაციაში, რომლის პრეზიდენტი ნაციონალი პარლამენტარი კახა გეწაძეა, თითქმის ყველა სახეობის ფედერაციების ხელმძღვანელები შეიკრიბნენ და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგს წერილი გაუგზავნეს.

ღავაკონკრეტოთ, რომ საპასუხო წერილის გაგზავნა გუშინწინდელი ამბების გაგრძელებაა. გუშინწინ სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და იურიდიულმა კომიტეტმა განაცხადეს, რომ 9 ოქტომბრის სახელდახელო სხდომა სეოკ-ის დებულებისა და რეგლამენტის დარღვევით ჩატარდა, რაკი საამისოდ 19 ხმა საკმარისი არ იყო. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება ბადრი პატარკაციშვილისთვის სეოკ-ის პრეზიდენტობის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ არალეგიტიმური და უსაფუძვლოა.

იურიდიული კომიტეტის წერილობითი დასკვნა სოკ-ის პრეზიდენ ჟაკ როგს გაეგზავნა, გუშინ კი საპირისპირო, ოღონდ პოლიტიკური შინაარსის წერილი პატარკაციშვილის მოწინააღმდეგეებმაც აფრინეს. ვთქვათ, რომ მათ შეკრებაზე თითქმის ყველა სახეობის ფედერაციის თავკაცები იყვნენ, განურჩევლად ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობებისა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ყველა ფედერაციას სახელისუფლო და ნაციონალების სახეები თავკაცობენ.

ცხადია, გუშინ არც კამათი ყოფილა და არც იმის გახსენება, რომელ ფედერაციებსა და მათ სპორტსმენებს რამდენით და რამდენჯერ დაეხმარა ბადრი პატარაკაციშვილის ოლიმპიური ფონდი. შეკრების მიზანი ჟაკ როგისთვის წერილის გაგზავნა იყო, რაც გაკეთდა კიდეც. წერილის პათოსი და არსი კი პოლიტიკური იყო. ბადრი პატარკაციშვილი პოლიტიკური მესკანდალეა, სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაში ეჭვმიტანილი და ასეთი კაცსი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობა არ გვინდაო. წერილს, ცხადია, ყველა დამსწრემ მოაწერა ხელი, თუმც ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა ერთადერთმა საქვეყნოდ თქვა, რომ ბადრი პატარკაციშვილის დახმარება ჩვენი ფრენბურთის განვითარებაში ჰალიან დიდია და ის რომ პლაჟის ფრენბურთში ჩვენი წყვილი ოლიმპიადაზე მოხვედრის რეალური კანდიდატია, დიდწილად, სწორედ სეოკ-ის თავკაცის დამსახურებაო.

90 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ჩვენი კაცთა წყვილი პეკინის ოლიმპიადაზე ითამაშებს და მედლებისთვისაც იბრძოლებს. ბრაზილიელების ჩამოყვანა ბადრი პატარკაციშვილის დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო და მას ამას ვერ დავუკარგავ. მე ჩემი ფედერაციის სახელით ვიტყვი, რომ ოლიმპიური კომიტეტი გვერდში გვედგა და საქართველოში ფრენბურთის განვითარებისთვის ბევრი სასიკეთო გააკეთა" — გვითხრა ლევან ახვლედიანმა გუშინ შეკრების შემდეგ რომ შევეხმიანეთ.

**ბაჩო სვანიძე**

# მეორედ მოსვლა, ანუ ვიზიტი

## ლერი ხაბელოვი პოზიციას არ ცვლის

**გუშინ** საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში დიდი რია-რია იყო. პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები კვლავ გუნდ-გუნდად მოდიოდნენ და ამ ორგანიზაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ლერი ხაბელოვის კაბინეტთან მიღებაზე თავიანთ რიგს ელოდნენ.

ეს ყოველივე სეოკ-ის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის უფლებამოსილების შეჩერებაზე გამოძახილი იყო და ჩვენი კოლეგები დამატებითი ინფორმაციის და კომენტარების მიღებას ცდილობდნენ. ამას მოჰყვა საქართველოს სპორტულ ფედერაციათა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ხუთკაციანი გუნდის ვიზიტი — დღეს ჭიდაობის ფედერაციაში თითქმის ყველა სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელები შევიკრიბეთ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როკის სახელზე წერილი მოვამზადეთ და ეს ბარათი თქვენ უნდა გაგზავნოთო. დიდი კამათის მერე ლერი ხაბელოვმა, რომელმაც 9 ოქტომბერს გახმაურებული სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა, ვიზიტიორები გაწბილებულები გაისტუმრა.

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ უკვე ათასჯერ ნათქვამს — მე არც ალმასკომის მოწვევის წინააღმდეგი ვარ, არც ჩვენი ორგანიზაციის რიგგარეშე სესიისა — გვეუბნება ლერი ხაბელოვი — მაგრამ თუ სამართლებრივ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ყველაფერი შესაბამისი წესდების ჩარჩოებში უნდა მოექცეს. ჩემი მოვალეობა ისაა, რომ საზოგადოების მოთხოვნა დავაკმაყოფილო, დავსხდეთ და პრობლემებზე ერთად ვიმსჯელოთ, ოღონდ ყველაფერს ხომ თავისი წესი და რიგი აქვს. მაგრამ რომელ წესსა და რიგზეა საუბარი, როცა ვზივარ ჩემთვის კაბინეტში, მოულოდნელად შემოდიან სპორტული ფედერაციებისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელები და მეუბნებიან, სეოკის ალმასკომის სხდომა უნდა ჩავატაროთ და ბადრი პატარკაციშვილს უნდობლობა გამოვუცხადოთო.

სახტად დავრჩი. ჯერ ერთი, ბადრი პატარკაციშვილს თვითონ არ უთხოვია ამ ორგანიზაციის პრეზიდენტობა და ამ პოსტზე იგი ერთხმად ავირჩიეთ. მას აქამდე ყველა ემადლიერებოდა და მის მზეს იფიცებდა, მაგრამ რამეში დამნაშავეც რომ იყოს, ჩვენ ხომ წესი და რიგი უნდა დავიცვათ. ალმასკომის მოწვევის დრო ათი დღით ადრე მაინც უნდა გვეცნობებინა მისი წევრებისთვის. ჩვენი ოპონენტები ამბობენ, წინადღით ამ სხდომის თაობაზე მასმედიით გაცხადდაო, მაგრამ ყველამ მოისმინა ეს განცხადება? მაგალითად, მე არაფერი ვიცოდი. ამიტომაც პროტესტის ნიშნად სხდომა დავტოვე, ის გადაწყვეტილება კი, რომელიც იქ მიიღეს, მრავალი დარღვევის გამო უკანონოა. ფედერაციათა ხელმძღვანელები სანამ აქ მოვიდოდნენ, ჯობდა, წესისამებრ ჯერ თავიანთი სხდომები ჩაეტარებინათ, ნდობა-უნდობლობაზე იქ ემსჯელათ და ყოველივე ოქმებში აესახათ.

მე ჩემი ღირსება მაქვს. ჩემი გვარის ხალხი სულ მებრძოლი და მეომარი იყო. რატომ უნდა შევარცხვინო მათი ხსოვნა, რატომ



უნდა წამომაძახოს ვინმემ, შენ ის კაცი არ ხარო... ამიტომაც მოვითხოვ ყველაფრის წესების ჩარჩოში მოქცევას. ის ვითომ ალმასკომის სხდომა და იქ მიღებული გადაწყვეტილება სრულიად უკანონოა, თუნდაც იმიტომ, რომ ქვორუმი არ იყო. პრესაში გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით, ერთადერთი ნონა გაფრინდაშვილი იყო ყველა გადაწყვეტილებაზე წინააღმდეგი, მაგრამ ოქმისთვის არც სეოკ-ის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს მოუწერია ხელი. იყო სხვა დარღვევებიც, რაზეც დაწვრილებით ჩვენი იურიდიული სამსახურის უფროსი იმედა ხუციშვილი გესაუბრებათ.

როცა ბატონ იმედა ხუციშვილს მივმართეთ, სწორედ ახლა გავამზადეთ პრესაში გამოსაქვეყნებლად ჩვენი დასკვნაო, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

**ავთანდილ ტყვიტელი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის იურიდიული სამსახურის დასკვნა

### სეოკ-ის ალმასკომის 18 (თვრამეტი) წევრისა და წევრობის არმქონე ერთი მოქალაქის მიერ — საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის სახელით მ.წ. 9 ოქტომბერს მოწყობილი სხდომის შესახებ

ქ. თბილისი 10.10.07 წ.

მედიის საშუალებით საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა სეოკ-ის შენობაში 9 ოქტომბერს მოწყობილი სხდომის შესახებ. ამავე დღეს — 9 ოქტომბერს (სხდომის შემდეგ) სეოკ-ის კანცელარიას ჩაბარდა 26 (ოცდაექვსი) პირის განცხადება, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის სახელით შედგენილი სხდომის ოქმი და ბ-ნი კ. გეწაძის მიერ წარდგენილი დღის წესრიგი.

სეოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე შემოტანილი ყველა განცხადება დათარიღებულია 09.10.07 წ. თარიღით და მოთხოვნაა:

„საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წესდების VIII პარაგრაფის შესაბამისად, მოვითხოვთ უმოკლეს ვადაში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რიგგარეშე სესიის მოწვევას. გთხოვთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომს, რომ უზრუნველყოთ რიგგარეშე სესიის მოწვევისათვის აუცილებელი საორგანიზაციო საკითხების მოგვარება".

— წარმოდგენილი სხდომის ოქმის მიხედვით: ოქმი არ არის დანომრილი, დათარიღებულია 9.19.2007 წ. (ალბათ ტექნიკური შეცდომაა და უნდა იყოს მე-10 თვე), ესწრებოდა 19 (ცხრამეტი) პირი. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ ზენაიშვილს დაყენებული აქვს საკითხი წესდებით გათვალისწინებულ პროცედურულ მოთხოვნათა შესახებ, სხდომა დასჯერდა ბ-ნი გ. გაბაშვილის უარგუმენტო განმარტებას. მისივე წარდგენით იქნა სხდომის თავმჯდომარედ დასახელებული ბ-ნი კ. გეწაძე და სხდომის მდივნად დ. ნამგალაური. სხდომაზე 19 მონაწილის დასწრება გადაწყვეტილებაუნარიანად იქნა მიჩნეული.

— ბ-ნი კ. გეწაძის მიერ წარდგენილი დღის წესრიგი ოთხი პუნქტისგან შედგება, რომლის სამართლებრივი მნიშვნელობა ძირითად ნაწილში ბუნდოვანია. მართალია, დღის წესრიგი ამავე დროს შეიცავს თანხმობისა და დავალების ხასიათის შინაარსს, მაგრამ როგორც ასეთი, დადგენილება — სხდომას არ მიუღია.

მიღებული ფორმითაც რომ ყოფილიყო დაწერილი: დღის წესრიგი, დავალებაც, თანხმობაც და კიდევ — დადგენილებაც- ქვორუმიც რომ ყოფილიყო და სხდომა მართლა გადაწყვეტილებაუნარიანიც, მიღებულ ნებისმიერ აქტს არ ექნებოდა იურიდიული ძალა, რადგან სწორედ სეოკ-ის ალმასკომმა უნდა უზრუნველყოს 9 ოქტომბრის განცხადებით მოთხოვნილი „რიგგარეშე სესიის მოწვევისათვის აუცილებელი საკითხების მოგვარება".

9 ოქტომბერს მიღებული განცხადება შესწავლილი უნდა იქნეს: რამდენად უფლებამოსილი პირის მიერ არის მოთხოვნა დაყენებული, რამდენად საფუძვლიანია მოთხოვნა და შემდეგ, წესდების შესაბამისად სხდომის მოწვევისათვის აუცილებელი წესების დაცვით მოიწვევა სხდომა. სხვა შემთხვევაში სხდომის მიერ მიღებული ნებისმიერი დღის წესრიგი, თანხმობა, დავალება თუ დადგენილება ვერ იქნება ალმასკომის წევრთათვის წესდებით მინიჭებული ნების გამომხატველი.

სრული ნონსენსია, როდესაც ეგზალტირებული ე.წ. ალმასკომის სხდომა, თუნდაც 19 კაცის უნდობლობის საფუძველზე და მათივე თანხმობით, სეოკ-ის პრეზიდენტს უფლებამოსილებას უჩერებს და უდიდესი გაუცნობიერებლობა, როდესაც ეს შემადგენლობა ვალდებულებას იღებს: „აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ გადაწყდა ეცნობოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს"-ო.

— ამავე დღეს (9 ოქტომბერს) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სეოკ-ის პრეზიდენტის ძაგებისათვის დათმობილმა ტრიბუნამ იმდენი სითამამე მისცა უნიჭოდ დადგმული „სხდომის" მდივანს დ. ნამგალაურს, რომ სატელევიზიო ეთერით სეოკ-ის პრეზიდენტი ქვეყანას დამნაშავის კვალიფიკაციით წარუდგინა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. სეოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე 09.10.07 წ. სეოკ-ის კანცელარიაში შემოსულ განცხადებებს მიეცეს ადმინისტრაციული წარმოება;

2. სეოკ-ის კანცელარიაში 09.10.07 წ. შემოსული სხდომის ოქმი თანდართული დღის წესრიგით (3 ფურცლად) დაუბრუნდეს სხდომის თავმჯდომარეს ბ-ნ კ. გეწაძეს, ხოლო ასლები ინფორმაციად იქნეს დატოვებული.

— განემარტოს ბ-ნ კ. გეწაძეს, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის სხდომა არ მოწვეულა და შესაბამისად, არანაირი შედეგი (გადაწყვეტილება, დადგენილება, შეთანხმება და ა.შ.) არ დამდგარა. იმედია, დამატებით განმარტებას გასცემს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც.

3. სეოკ-ის შენობაში 09.10.07 წ. მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, სეოკ-ის წესდების I პარაგრაფის მე-15, III პარაგრაფის მე-3 „დ" და XI პარაგრაფის შესაბამისად უნდა მომზადდეს მასალები (მტკიცებულებები) სათანადო რეაგირებისა და საქმის წარმოებისათვის.

4. წინამდებარე დასკვნის საჯაროობა უზრუნველყოფილი იქნეს პრესსამსახურის მიერ.

*იურიდიული სამსახურის უფროსი ი. ხუციშვილი*

RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი



# გამოსარჩევი ამბავი

## საქართველოს ირლანდია დაუფასდა

**მსოფლიოს თასის ოფიციალურმა ვებგვერდმა rugbyworldcup.com-მა ჯგუფური ეტაპის ხუთი საუკეთესო მატჩი გამოავლინა. ჩვენთვის საინტერესო და აღსანიშნავი ისაა, რომ საუკეთესო მატჩების ხუთეულში მესამე ადგილზე მოხვდა საქართველო — ირლანდიის ჯახი. ხუთეულის სეფემატჩად კი უელსი — ფიჯი დასახელდა. ეს მატჩი-ტრილერი ფიჯიმ სენსაციურად მოიგო და მეოთხედფინალშიც გავიდა**

**უელსი 34:38 ფიჯი**

პირველი ტაიმის შუაში, ათწუთიან მონაკვეთში ფიჯიმ სამი ლელო გაუტანა უელსს და თითქმის მოხრჩობილი ჰყავდა მეტოქე, როცა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ფიჯელთა მორკინალი აკაპუსი ქერა მსაჯმა ათი წუთით გააძევა. ამ მომენტისთვის ფიჯი 25:3 იგებდა, მაგრამ კაცნაკლულებმა ათ წუთში აქეთ გაუშვეს სამი ლელო, გარეთ ტომასმა გარდასახვა-საჯარიმოებიც გაიტანა და უკვე უელსი დაწინაურდა 29:25. როდესაც ქერა მოედანზე დაბრუნდა, ფიჯი გამოცოცხლდა და მათმა დამრტყმელმა ნიკი ლიტლიმ ორი საჯარიმო გაიტანა — 31:29, თუმც მატჩის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე მარტინ უილიამსმა ფიჯელთა ლელომდე ირბინა და ისევ უელსი დაწინაურდა — 34:31. აქ კი უელსელებმა იფიქრეს, რომ მეტოქე საბოლოოდ გატეხეს, მაგრამ მატჩის ბოლო წუთზე კუნძულელმა მორკინალმა გრემ დიუიმ ტახივით შეანგრია მეტოქის დაცვა, ლიტლიმ კი უმახვილესი კუთხიდან გარდასახა ლელო და 1987 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ ფიჯი ოდენ მეორედ გავიდა პლეი ოფში.

**კანადა 12:12 იაპონია**

ეს იყო ორი შემტევი გუნდის ალალი რაგბობა, რომელმაც ულამაზეს მომენტებთან ერთად უშეღავათო ბრძოლაც დაიტია. მსოფლიოს თასს გრანდების მატჩები ალამაზებენ, თუმც მეორე დონის გუნდების სუფთა და სანახაობრივი დაპირისპირების ყურებაც ერთ რამედ ღირს.

**ირლანდია 14:10 საქართველო**

მეორე ტაიმში მთელი სტადიონი ფეხზე წამოდგა და ხმისჩახლეჩამდე „ჟორჟი, ჟორჟი!" ყვიროდნენ. ქართველებმა ერთი შეხედვით შეუძლებელი შეძლეს და მრისხანე ირლანდია ბოლო ოცი წუთის მანძილზე თავის ლელოსთან გამოკეტეს. ერთადერთი, რაც „ლელოებმა" ვერ გააკეთეს, ეს გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, ანუ ლელოს გატანა იყო, რომლის შემდეგ ისედაც გზააბნეული ირლანდია ბოლომდე გატყდებოდა. ქართველებმა ეს ვერ შეძლეს, თუმც იქამდე გიორგი შკინინმა 70 მეტრიანი სპრინტი მოაწყო და მსოფლიოს თასებზე ერთ-ერთი ულამაზესი ლელო გაიტანა. ქართველები ნამატჩევს 40 ათასმა გულშემატკივარმა ტაშით გააცილა. სასოწარკვეთილ ირლანდიელებს კი ფსიქოლოგთა მთელი ჯგუფი დასჭირდებოდათ აზრზე მოსასვლელად.

**სამხრეთ აფრიკა 30:25 ტონგა**

ტონგამ სამოას რომ მოუგო, ისე დაიმუხტა რომ სამხრეთ აფრიკას წასაქცევადაც გაიწია და სულ ცოტა დააკლდა უდიდესი სენსაციის მოსახდენად. მართალია, „ქურციკებმა" მეორე შემადგენლობა გაუყვანეს ტონგელებს, მაგრამ ვინ იტყვის, რომ სამხრეთ აფრიკის მეორე შემადგენლობა სუსტია? მატჩის მიმდინარეობისას ტონგა რამდენჯერმე უგებდა მეტოქეს, მატჩის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე კი მხოლოდ 22:27 აგებდა, თუმც ბოლო შტურმისთვის არაქათი აღარ ეყო. არადა, ტონგამ ისეთი თავგამოდებით და დიდოსტატურად ითამაშა ბობოლა სამხრეთ აფრიკასთან, რომ გამარჯვებას ალალად იმსახურებდა.

**საფრანგეთი 12:17 არგენტინა**

ეს იყო მატჩი, რომელიც სარაგბო სახელმძღვანელოებში უნდა შეიტანონ. არავინ ელოდა, რომ მსოფლიოს თასის გახსნით მატჩში სტუმარი მასპინძელს ულაპარაკოდ დაამარცხებდა. ასეთი რამ არც ერთ მსოფლიოს თასზე არ მომხდარა. ფრანგებს დაგეგმილი ზეიმი ჩაუშხამდათ და მილიონობით შამპანური გაუხსნელი დარჩა.

# ჯონსმორტლოკიანი



**ავსტრალიელთა** მსოფლიოს თასიდან ადრეული გამოვარდნა ნაკრების წევრებმაც და ქომაგებმაც მძიმედ აღიქვეს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ წაგებას მოთამაშეები ერთმანეთსაც კი აბრალებენ. 2003 წლის მუნდიალზე „ვოლაბთა" მწვრთნელი, ახლა კი სამხრეთ აფრიკის სამწვრთნელო შტაბში კონსულტანტად მომუშავე ედი ჯონსი (მეტსახელად „ცბიერი") ნაკრების ახლანდელ კაპიტან სტირლინგ მორტლოკს სდებს ბრალს.

ჯონსი ამბობს, რომ მორტლოკმა ინგლისთან ჯახში გუნდი საბრძოლოდ სათანადოდ ვერ შემართა, ანუ ლიდერის ფუნქციებს ვერ გაართვა თავი. „ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ვოლაბებმა" წააგეს, იყო არასაკმარისი საბრძოლო ჟინი, რაც უმთავრესად კაპიტნის ბრალია ხოლმე. გუნდში გყავდეს უგამოცდილესი ჯორჯ გრეგანი და კაპიტნის ფუნქციები არ დააკისრო, უბრალოდ, საცოდაობაა. რაკი გრეგანი ვეტერანია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი გუნდს ველარ გაუძღვებოდა" — განაცხადა ჯონსმა.

თავის მხრივ, ბრალდებაზე კომენტარი სტირლინგ მორტლოკმაც გააკეთა — „ჯონსი ალბათ ისეა გართული „ქურციკების" წვრთნაში, რომ ამგვარი განცხადებებითაც კი ცდილობს, რაღაც ასწავლოს სამხრეთაფრიკელებს. როგორც კაპიტანი, ჩემს თავზე არცთუ დიდ პასუხისმგებლობას ვიღებ. ყველა ჩემმა თანაგუნდელმა იცის, რომ იმ ფატალურ შეხვედრაში ვერ ითამაშეს. მომხდარმა ჩვენზე უფრო მძიმედ იმოქმედა, ვიდრე მოველოდით. იმედგაცრუება და კიდევ ერთხელ იმედგაცრუება, რომელიც ვეცადეთ, საფრანგეთში დაგვეტოვებინა, მაგრამ ამაოდ".

**ზურაბ მიგრიაული**

# ეშტონმა მოგებული არ შეცვალა

**ინგლისელთა** მწვრთნელმა ბრაიან ეშტონმა საფრანგეთთან სათამაშო შემადგენლობა დაასახელა. გასულ კვირაში ავსტრალიის მძლეველი ოცდაორეული საფრანგეთთანაც თითქმის უცვლელი დარჩება. ძირითადში იქნებიან მეთიუ ტაიტი და მაიკლ ქეთი, არადა, შეიძლება ეშტონს რომელიმე მათგანის ნაცვლად მანამდე კუნთგაჭიმული და ამჟამად გამოჯანმრთელებული ენდი ფარელი ეთამაშებინა. „ჩვენ თამაში ყველა რგოლში უნდა გამოვასწოროთ. მეეჭვება, საფრანგეთის ნაკრები დავიჭიროთ იგივე შეცდომაზე, რაზეც მაგალითად ავსტრალია... „მამლები" მშობლიურ „სენ დენიზე" გვეთამაშებიან და გულშემატკივარიც ჩვენზე ბევრად მეტი ეყოლებათ. ამიტომ გაცილებით მძიმე მატჩი გველის, ვიდრე „ვოლაბებთან" — თქვა ეშტონმა.

***ინგლისი:** რობინსონი, საკი, ტაიტი, ქეთი, ლუსი; უილკინსონი, გომარსალი; ისტერი, მუდი, ქორი, კეი, შოუ, ვიკერი (კაპ), რევანი, შერიდანი.*

*სათადარიგოები: შუტერი, სტივენსი, დალალიო, ვუორსლი, რიჩარდსი, ფლუდი, ჰიპკინსი.*

**ზურაბ მიგრიაული**

# ყოფნა-არყოფნის საკითხი ოსალივანის შემოქმედებაში



**ირლანდიის** რაგბის კავშირის თავჯდომარემ ფილიპ ბრაუნმა დაადასტურა, რომ მიუხედავად მუნდიალზე განცდილი კრახისა, ედი ოსალივანის ნაკრების თავკაცად დარჩენა-არდარჩენის საკითხი „სამყურათა" მომავალ მსოფლიოს თასზე გასვლის შემდეგ გაირკვევა. მსოფლიოს თასის წინ ოსალივანს რაგბის კავშირმა გაფართოებული კონტრაქტი შესთავაზა, რაც ნიშნავს, რომ იგი თავის პოსტზე კიდევ ოთხი წელი უნდა დარჩეს, მაგრამ მწვრთნელის ნაჩვენები შედეგით ყველა უკმაყოფილოა და ამიტომ მისი განთავისუფლებაც დღის წესრიგში დადგა. თუ ირლანდიის რაგბის კავშირი ოსალივანს გაუშვებს, მაშინ კომპენსაციის გადახდაც მოუწევს.

„ჩვენ დღის შუქზე, მშვიდ გარემოში უნდა დავსხდეთ და ყველაფერი ჯეროვნად ავწონ-დავწონოთ. უნდა მოვისმინოთ ნაკრების გარშემო მომუშავე ყველა პროფესიონალის აზრი და დასკვნები ისე გამოვიტანოთ. გუნდის მომზადებაში ბევრი დრო, ენერგია და ფული დავხარჯეთ, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ. გულშემატკივრებისთვისაც და ირლანდიის რაგბის კავშირისთვისაც წლევანდელი მუნდიალი საშინელი იმედგაცრუება გახლდათ, ისევ და ისევ ირლანდიელთა უხეირო რაგბობის გამო" — ბრძანა ბრაუნმა.

**ზურაბ მიგრიაული**

# კაკალივით ქურციკი

**სამხრეთ აფრიკის** ნაკრების წევრებმა ნახევარფინალისთვის სამედიცინო შემოწმება გაიარეს. აღმოჩნდა, რომ ოცდაათივე მოთამაშე არგენტინასთან ჯახისთვის სრულ მზადყოფნაშია. მხოლოდ „ქურციკთა" ფრთაიან სმიტმა გამოტოვა ოთხშაბათის ვარჯიში, მაგრამ ირწმუნება, ნახევარფინალისთვის კაკალივით ვიქნებიო. ჯეკ ვაიტმა ფიჯისთან მეოთხედფინალური შეხვედრა გამოატოვებინა სიჯეი ფან დერ ლინდეს და ბისმარკ დიუ პლესს. „დიუ პლესი და ფან დერ ლინდე იმიტომ არ ვათამაშე, რომ შემეშინდა, ტრავმები არ გართულებოდათ. ახლა ორივე მშვენიერ ფიზიკურ კონდიციაშია და ნახევარფინალში საომრად 100 პროცენტით მზად იქნებიან. მომავალი შეხვედრა ახალგაზრდებისთვის ჭკუის სასწავლებელი და, რაც მთავარია, თავბრუდამხვევი იქნება. ეს ხომ მათი პირველი ნახევარფინალია. ვნახოთ, როგორ გაართმევენ თავს" — თქვა ჯეკ ვაიტმა.



იან სმიტი

**ზურაბ მიგრიაული**

# იოვან ოქროპირი

## სტეფანოვისთვის კალათბურთამდე ისტორია და კულტურაა

**„აზოტის" სერბი ფორვარდი იოვან სტეფანოვი რუსთავში იმ დღეს ჩამოვიდა, როცა დუდუ დადიანის ტურნირი დაიწყო. ქვემოქართლელთა მწვრთნელი დავით უსტიაშვილი გუნდთან უვარჯიშებელი ლეგიონერის მოედანზე შეშვებას არ აპირებდა, თუმცა ერთადერთი მეფარის ანაზარად დარჩენილმა სტეფანოვი თამაშში მაინთ ჩართო. სერბი ფორვარდი 206 სანტიმეტრია, მაგრამ იმ თამაშში 216-იანი გიორგი შერმადინის წინააღმდეგ მოუწია ორთაბრძოლამ. მართალია, სერბმა ვერ დაჩაგრა მაკაბელი გიგანტი, მაგრამ კოჭებში შეეტყო, რომ უბრალო მოთამაშე არ გახლდათ. სტეფანოვმა დუდუ დადიანის მემორიალის მომდევნო მატჩებში დიდებულად ითამაშა და ფინალის საუკეთესო მოთამაშის პრიზიც დაისაკუთრა. იოვან სტეფანოვი ხომ კარგი კალათბურთელია და თან ძალიან განათლებულიცაა. ჩიკაგოს უნივერსიტეტში ის მარტო ბურთს როდი დასდევდა, ეკონომიკის ფაკულტეტი მაგისტრის ხარისხით დაამთავრა. ამასთან ის ძალიან გულღია და ალალი ადამიანია...**



— იოვან, რამდენიმე დღეა, საქართველოში ჩამოხვედი და უპრიანია, თავდაპირველად შთაბეჭდილებებზე შეგეკითხო...

— გუნდზე მეუბნებით თუ ზოგადად თქვენს ქვეყანაზე?

**— სპორტული ამბებით დავიწყოთ...**

— რუსთავში ბრწყინვალე ატმოსფერო დამხვდა. ძალიან კარგი თანაგუნდელები მყავს და მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 6 დღეა, რაც აქ ვარ, ყველას დავუახლოვდი. ბიჭებმა კარგად მიმიღეს და თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მშობლიურ სერბეთში ვიყო.

**— საქართველოს შესახებ რა იცოდით?**

— სიმართლე გითხრათ, სანამ აქ ჩამოვიდოდი, საქართველოს არსებობა მხოლოდ რუკიდან ვიცოდი. გაგონილი მქონდა, რომ თქვენ რამდენიმე მოთამაშე გყოლიათ ნბა-ში, მაგრამ როცა ჩამოვედი და ჩემი თვალით ვნახე აქაური სიტუაცია, დავრწმუნდი, რომ არ წამიგია. ეს საკალათბურთო დონესაც ეხება. პირველივე მატჩში მომიწია ისეთი პერსპექტიული ახალგაზრდის წინააღმდეგ თამაშმა, რომელიც მალე ნბა-ში გადავა. შერმადინი მართლაც უძლიერესი პოტენციალის მქონე მოთამაშეა და ვიცი, რომ საქართველოში კიდევ არიან ნიჭიერი ბიჭები.

**— „აზოტზე" და მის ამბიციაზე რას იტყვი?**

— ჩვენს გუნდს თითქმის ყველა პირობა აქვს, პირველობისთვის რომ იბრძოლოს.

**— ჩვენი გუნდიო, თქვი და კონტრაქტი უკვე გააფორმე?**

— გადაწყვეტილია, რომ სეზონის ბოლომდე „აზოტში" დავრჩები.

**— დადიანის მემორიალის ფინალის საუკეთესო მოთამაშე გახდი და რას იტყვი ამ მატჩზე?**

— როგორც ვიცი, ჩვენი მეტოქე, რომელსაც ეს ფინალი მოვუგეთ, დამდეგ სეზონში ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ამიტომაც ორმაგად გამიხარდა, იოლად რომ მოვუგეთ და თან მეც თავი გამოვიჩინე.

**— პირველად ცენტრად ითამაშე, მერე უფრო სიღრმიდან უტევდი. რა პოზიციის მოთამაშე ხარ?**

— 3, 4, 5 ნომრები — გააჩნია, გუნდს როგორ დასჭირდება. ისე კი, ჩემი სიმაღლისა და მოქნილობის გათვალისწინებით, 4 ნომერი, ანუ თავდამსხმელობა უფრო შემეფერება.

**— რას იტყვი შენს განვლილ კარიერაზე?**

— კარიერას მე ახლა ვიწყებ. ესაა ჩემი პირველი პროფესიონალური სეზონი. აქამდე ამერიკის სტუდენტურ ლიგაში ვთამაშობდი, მანამდე „ჰაი სქულების" ჩემპიონატში. ასე რომ, ხელფასი არსად ამიღია.

**— ამერიკაში როდის წახვედი?**

— ამერიკაში 15-16 წლის წავედი სასწავლებლად და ცხადია, კალათბურთის თამაშიც არ შემიწყვეტია. კალათბურთზე ბავშვობიდან დავდივარ — ბელგრადის „ცრვენა ზვეზდის" სკოლის გაზრდილი ვარ, რომელიც მსოფლიოში ვარსკვლავების სამჭედლოდაა ცნობილი.

**— ამერიკაში სათამაშოდ წახვედი თუ განათლების მისაღებად?**

— ასე ვთქვათ, საკალათბურთო ნიჭი კარგი განათლების მიღებაში დამეხმარა. სკოლაში რომ ვსწავლობდი, ფლორიდის ნაკრებში მოვხვდი და სრულიად ამერიკის „ჰაი სქულების" ჩემპიონატში ვითამაშე. მერე ჩიკაგოს ილინოისის უნივერსიტეტში ჩავაბარე და სტუდენტურ ლიგაში ვითამაშე 4 წელი.

**— რა შედეგები გქონდა და ვინმე ვარსკვლავს ხომ არ უთამაშია შენს მხარდამხარ?**

— ამ ოთხი წლის განმავლობაში მთლიანობაში 10 ქულასა და 6 მოხსნას ვაგროვებდი საშუალოდ. რა თქმა უნდა, უკეთესი შედეგებიც შეიძლებოდა მქონოდა, მაგრამ იქ კალათბურთის გარდა სხვა რამეზეც მიწევდა ზრუნვა. ვმუშაობდი, რომ თავი გამეტანა, თავს ვუვლიდი და, რა თქმა უნდა, ვსწავლობდი. თუ გამოცდებს ვერ ჩააბარებდი, გუნდში ვერ ითამაშებდი, თუმც მე მხოლოდ იმას კი არ ვცდილობდი, როგორმე კურსიდან კურსზე გადავსულიყავი, ეკონომიკა ძირფესვიანად შევისწავლე და მაგისტრის ხარისხიც მივიღე. ჩემს გუნდში ისეთი არავინ თამაშობდა, ნბა-ში რომ გადასულიყო და თავი გამოეჩინა, თუმცა იყვნენ ყოჩაღი ბიჭები. მაგალითად, მარკ მილერი, რომელიც ეგება არ იცოდეთ, ვინაა, თუმცა ის გერმანული ბუნდესლიგის უძვირფასესი მოთამაშე გახდა წლეულს და ეს საკმაოდ ბევრს ნიშნავს.

**— შენ გითამაშია სერბეთის კადეტთა ნაკრებში და ევროპის ჩემპიონიც გამხდარხარ...**

— მე როცა კადეტთა ნაკრებში ვთამაშობდი, 1999 წელს, ჩვენს ქვეყანას ჯერაც იუგოსლავია ერქვა. სწორედ მაშინ გავხდი ევროპის ჩემპიონი და სხვათა შორის, იმ ჩემპიონატზე საქართველოს წინააღმდეგაც მომიწია თამაშმა. მახსოვს, ზაზა ფაჩულია და მახსოვს, 20-ზე მეტი ქულით რომ მოვიგეთ. სხვა დეტალები არ ვიცი. ისევე, როგორც ზაზა, მეც ხუთეულის მოთამაშე ვიყავი. ჩემპიონები რომ გავხდით, ემოციისგან მთელი ღამე არ მეძინა.

**— კადეტებში იყავი და მომდევნო ასაკობრივ ნაკრებებში რატომ აღარ გითამაშია?**

— მარჯვენა მუხლის უმძიმესი ტრავმა მივიღე და სწორედ მაშინ, როცა გარდატეხა უნდა მომხდარიყო ჩემს სპორტულ ცხოვრებაში, თითქმის წელიწადი გამიცდა. მერე ამერიკაში წავედი და ნაკრებშიც ველარ მოვხვდი.

**— თუ გქონდა სხვა შემოთავაზებები „აზოტის" გარდა?**

— ამერიკაში, ნბა-ს გუნდების საზაფხულო შეკრებებზე ვიყავი და ვვარჯიშობდი. მქონდა ვარიანტი, იქაურ დაბალ ლიგაში მეთამაშა, მაგრამ რატომღაც ევროპაში თამაში ვარჩიე.

**— რამდენად ევროპაა საქართველო?**

— თქვენი ქვეყანა ევროპისა და აზიის ნაზავია. აქ ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს. არ გეგონოთ, ამას იმიტომ ვამბობდე, რომ აქ ვარ, თქვენ გელაპარაკებით და ვპირფერობ. მე ყოველდღე ვურეკავ დედაჩემს და ვეუბნები, საქართველო მაგარია, ძალიან კარგ ქვეყანაში და, რაც მთავარია, კეთილ ხალხში ვარ-მეთქი. სხვათა შორის, დღეს დილით თავად დამირეკა დედაჩემმა და მითხრა, ჩვენს ბელგრადელ მეზობელს თურმე ქართველი რძალი ჰყოლია და სულ იმ გოგოს ქებაში არიანო. მათი შვილი სწავლობს მოსკოვში და იქ გაუცვნია ქართველი გოგო. დედაჩემს რომ არ ეთქვა, მეც უკვე დავრწმუნდი, რომ ულამაზესი მანდილოსნები გყავთ. საერთოდ, სერბები და ქართველები ერთმანეთს ხასიათითაც ვგავართ, გარეგნობითაც და ისტორიაც თითქმის ერთნაირი გვაქვს. სერბეთიც და საქართველოც თურქეთის აგრესიისგან იცავდნენ თავს საუკუნეების მანძილზე.

**— ამდენის გაგება სად მოასწარი?**

— საქართველოში რომ მივდიოდი, ცხადია, დავინტერესდი აქაური ისტორიით და კულტურით. რა გასაკვირია, მე თუ მომეწონა თქვენი ქვეყანა — ახლახან არ იყო გორან ბრეგოვიჩი თბილისში?! ამ უდიდეს სერბ კომპოზიტორს რამდენიმე წლის წინ ქართული ხალხური სიმღერები მოუსმენია და ისე მოსწონებია, ერთ-ერთი თავის რეპერტუარში შეუტანია.

**— წინწყაროზე ამბობ?**

— სახელი ნამდვილად არ ვიცი და თუ თქვენც გაგიგიათ, ესე იგი, ეგაა. ცალკე თემაა ქართული სამზარეულო: ხაჭაპური და ხინკალი რომ გავსინჯე, მივხვდი, რომ აქამდე გემოვნებაზე წარმოდგენა არ მქონდა. საუკეთესო სამზარეულო გაქვთ.

**— „აზოტს" მალე ევროთასზე უწევს თამაში და ამაზე რას იტყვი?**

— ეს თამაშები ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისთვის კარგი შანსია, ევროპას საკუთარი თავი გავაცნოთ. მე ამას ტრამპლინად გამოვიყენებ და ვეცდები, ჩემი კარგი თამაშით ევროპულ არენაზე თავი გამოვიჩინო და ხალხს თავი დავამახსოვრო. არ ვიცი, რა გუნდია „ასტრონავტსი", მაგრამ როგორი ძლიერიც უნდა იყოს, რუსთავში მხოლოდ მოგებაზე ვიფიქრებთ. ვიცი, რომ ჩვენი დარბაზი გადაივსება და მაყურებელი მეექვსე მოთამაშედ დაგვემატება.

**ირაკლი პერტაია**



### რეგულარული ჩემპიონატი



„აილენდერსის" ჰოკეისტები ნიუიორკულ დერბიში გამარჯვებას ზეიმობენ

10 ოქტომბერი

**აილენდერსი 2:1 რეინჯერსი**
**1:0 1:1 0:0**
1:0 ბერჯერონი (20), 1:1 ტოუტინი (23), 2:1 ბერარდი (34)

**დალასი 5:1 ლოს ანჯელესი**
**1:0 3:0 1:1**
1:0 ჰაგმანი (8), 2:0 ჰაგმანი (25), 3:0 მიეტინენი (34), 4:0 რიბეირო (37), 5:0 ლუნდკვისტი (41), 5:1 კოლდერი (50)

**ტამპა 2:1 ფლორიდა**
**1:0 1:1 0:0**
1:0 გრეტონი (10), 1:1 პელტონენი (25), 2:1 გრეტონი (31)

**ატლანტა 1:3 ოტავა**
**1:1 0:0 0:2**
0:1 კელი (2), 1:1 კოვალჩუკი (7), 1:2 ვერმეტი (42), 1:3 კორვო (48)

**კოლამბუსი 3:0 ფინიქსი**
**1:0 1:0 1:0**
1:0 მალოტრა (11), 2:0 ჩიმერა (23), 3:0 ბოლი (47)

**მინესოტა 2:0 ედმონტონი**
**1:0 1:0 0:0**
1:0 ბარნსი (13), 2:0 დემიტრა (28)

**დეტროიტი 4:2 კალგარი**
**1:1 2:1 1:0**
1:0 ზეტერბერგი (9), 1:1 ჰუსელიუსი (14), 2:1 ჰოლმსტრომი (24), 2:2 ჰუსელიუსი (27), 3:2 დრეიპერი (37), 4:2 სამუელსონი (56)

**პიტსბურგი 2:3 მონრეალი**
**0:0 1:2 1:1**
1:0 უიტნი (28), 1:1 პლეკანეცი (34), 1:2 კოვალიოვი (37), 1:3 მარკოვი (43), 2:3 ტელბოტი (44)

**სენტ ლუისი 4:1 ნეშვილი**
**2:0 2:1 0:0**
1:0 ბოიესი (1), 2:0 ბოიესი (15), 3:0 ჯონსონი (24), 4:0 სტემპნიაკი (32), 4:1 ტუტუ (40)

**ჩიკაგო 1:2 სან ხოსე**
**1:0 0:1 0:1**
1:0 ტაუესი (14), 1:1 მიხალეკი (31), 1:1 მიხალეკი (57)


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
**მიღება მოხდება შერჩევით**
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

## საქართველოს მე-18 ჩემპიონატი
## კაცები. მეორე წრე

11 ოქტომბერი

**მამული 30:25 ქუთაისი**

მამული: ხონელიძე, ვახანია, კვერნაძე (8 გოლი), ცოტაძე (7), გველესიანი (5), კერესელიძე (5), თეთრუაშვილი (3), მიხეილ ქუთათელაძე (2), ჩაჩანიძე, ბიდოდაშვილი

ქუთაისი: შიშინაშვილი, ნიქაბაძე, ნიკურაძე (7), გობეჯიშვილი (5), სიხარულიძე (4), ადამია (3), თათეიძე (3), ჯავახაძე (2), დოლაკიძე (1), ჩხეიძე, კიზირია, ჯანაშია, თუთბერიძე

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

დელეგატი: ვახტანგ ბერიაშვილი

**სტუ-თელავი 20:19 თბილისი**

სტუ-თელავი: გიგა ტორონჯაძე, სამყურაშვილი, თევზაძე, გიორგი კობახიძე (7), მამია კობახიძე (5), ტალახაძე (5), ომარ ყიფიანი (1), ირაკლი ჩიქოვანი (1), ამირან ყიფიანი (1), ზაალიშვილი, სხიერელი, ბერძენიშვილი, ნიკოლაიშვილი, მელქოშვილი, ქობელაშვილი, გოგალაძე

თბილისი: ანდრიაძე, გონჩაროვი, ნივნივაძე (8), გელაშვილი (4), ქირია (3), ქარდავა (2), მაისურაძე (1), ლალანიძე (1), ყაველაშვილი, ფორაქიშვილი, ჟღენტი, ირაკლი ტორონჯაძე, ომარ ქუთათელაძე

მსაჯები: ნინო ელოშვილი, ინა ჭკუასელი

დელეგატი: თამაზ ჩხარტიშვილი

# ბოლო წამების თამაში
## ტიტე კალანდაძე საქართველოში ბრუნდება



ბაქარი ძიძიგურის ფოტო

**ქუთაისელებს** გამოცდილება და იღბალი დააკლდათ, რომ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება ეზეიმათ. ისე, ცოტა უხერხულიც არის, წარუმატებლობა ბედს დააბრალო მაშინ, როცა ერთ თამაშში 10 პენალტიდან 8-ს (!) აფუჭებ. რომ არა ასეთი ცუდი სტატისტიკა, ქუთაისელები ალბათ მოიგებდნენ. არადა, თავიდან კარგად დაიწყეს, ორჯერ ანგარიშიც წაიყვანეს, მაგრამ „მამული" გამოფხიზლდა და წინაც გავიდა, ტაიმიც მათ მოიგეს 11:10. „ქუთაისს" შანსი მერეც ჰქონდა, მაგრამ ამდენმა გამოუყენებელმა მომენტმა თავისი ქნა, ხელბურთელები ანერვიულდნენ და მეტოქეს გაქცევის საშუალება მისცეს...

„თბილისისა" და „სტუ-თელავის" ხელბურთელებს უკვე მატჩის წინა მოთელვაზე ეტყობოდათ, რომ საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი და მოტივაციის ნაკლებობას არავინ უჩიოდა. ამიტომაც იყო თამაში დაძაბული, საინტერესო და რაც მთავარია, თვალსასიამოვნო რომ გამოვიდა. არა, ისე არ გაიგოთ, თითქოს ევროპული დონის თამაშზე გიყვებოდეთ, უბრალოდ, საქართველოს ჩემპიონატის გათვალისწინებით, მართლაც კარგი შეხვედრა შედგა.

თავიდან ორივე გუნდს ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა. ანგარიშის გახსნა კი მხოლოდ 2 წუთის შემდეგ შეძლო „სტუ-თელავმა". ისეთი თამაში გამოვიდა, რომ გოლი ძნელად გადიოდა და წინ გაქცევის საშუალება არც ერთ გუნდს არ მიეცა. ტაიმის ბოლომდე 10 წუთი რჩებოდა, 6:6 იყო. ამ დროს „სტუ-თელავის" კარში გამოცდილი შოთა თევზაძე ჩადგა და მაშინვე მასთან პირისპირ დარჩენილ ქირიას აულო. მერეც დიდწილად მისი დამაჯერებელი თამაშის დამსახურებაა, რომ „სტუ-თელავმა" მოიგო. საფინალო სასტვენამდე 5 წუთი რომ რჩებოდა, 18:18 იყო. 3 წუთი გუნდებმა მშრალად გალიეს, 2 წუთით ადრე ორი კაცი „თბილისს", ერთი კი „სტუ-თელავს" გაუგდეს. ამ დროს მოედანზე მაგარი ნერვების წყვეტა იყო. სტუმ ორი ბურთით გაქცევა შეძლო, თბილისმა" ერთი მაშინვე გაქვითა და გასათანაბრებლად გაიწია, თუმცა გადამწყვეტი დარტყმა თამაშის დამთავრებამდე 20 წამით ადრე ლევან გელაშვილს თევზაძემ აულო.

მესამე წრე ტური ნოემბერში გაიმართება, მანამდე ნაკრებს „ჩელენჯტროფიზე" თამაში ელის და საუკეთესოებიც ეროვნულს მიაშურებენ.

ბოლოს კი ერთი საინტერესო ინფორმაციაც, ტიტე კალანდაძე მესამე წრიდან სეზონის ბოლომდე „თბილისს" დაეხმარება. ამის გათვალისწინებით, ჩემპიონობის მაძიებელთა მომავალი დაპირისპირება უთუოდ ორმაგად საინტერესო უნდა გამოვიდეს.

**ლევან მაისურაძე**

**ვითარება ორი წრის შემდეგ**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-თელავი | 6 | 0 | 0 | +115 | 12 |
| ხკ თბილისი | 4 | 0 | 2 | +113 | 8 |
| სსსსუ-მამული | 2 | 0 | 4 | -88 | 4 |
| ქუთაისი | 0 | 0 | 6 | -140 | 0 |

**მეგოლეები**

| | |
|---|---|
| ამირან ყიფიანი | 81 |
| გიორგი ნერეთელი | 53 |
| ვანო ქარდავა | 49 |



**კაცები.** მოსკოვი. რუსეთი. ხალიჩა (დარბაზი). საპრიზო 1 000 000 $

**მეორე წრე**

მიხაელ ბერერი (გერმანია) — მიხაილ იუჟნი (2, რუსეთი) 7:5 6:4; იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) — ენდი მიურეი (3, ბრიტანეთი) 6:4 7:5

**კაცები.** ვენა. ავსტრია. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 642 750 €

**მეორე წრე**

ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — მარდი ფიში (აშშ) 6:7 6:2 7:6; ანდრეას სეპი (იტალია) — რობინ ჰააზე (ჰოლანდია) 7:5 6:3; ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 7:6 1:6 6:2; სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) — დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 5:7 6:3 6:1

**კაცები.** სტოქჰოლმი. შვედეთი. ჰარდი (დარბაზი) საპრიზო 680 250

**მეორე წრე**

იარკო ნიემინენი (6, ფინეთი) — პეტერ ლუჩაკი (ავსტრალია) 6:0 6:4; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — ბიორნ რენკვისტი (შვედეთი) 6:1 6:3; ტომი ჰაასი (4, გერმანია) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:2 3:6 6:3

**ქალები.** მოსკოვი. რუსეთი. ხალიჩა (დარბაზი). საპრიზო 1 340 000 $

**მეორე წრე**

სერენა უილიამსი (5, აშშ) — ტატიანა პერებინისი (უკრაინა) 7:5 6:4; ნიკოლ ვაიდიშოვა (8, ჩეხეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:3 6:4; ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 6:2 6:2; დინარა საფინა (რუსეთი) — ანა ჩაკვეტაძე (3, რუსეთი) 7:6 6:2

**ქალები.** ბანგკოკი. ტაილანდი. ჰარდი. საპრიზო 200 000 $

**მეორე წრე**

ურსულა რადვანსკა (პოლონეთი) — ვირჟინი რაზანო (4, საფრანგეთი) 7:6 7:5; შაჰარ პეერი (3, ისრაელი) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:1 6:1; ვინუს უილიამსი (2, აშშ) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:4 6:1; ძი იანი (ჩინეთი) — ოლგა პუჩკოვა (რუსეთი) 3:6 6:1 6:1; იუნ-იან ჩანი (ტაივანი) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) 4:6 6:3 6:2

# რუსებმა მოსკოვში სამხრეთი დაკარგეს

**წარმატებით** აგრძელებს ტიტულის დაცვას ივან ლიუბიჩიჩი. ვენის ორგზის ჩემპიონი მესამე ტიტულისკენ მიიწევს და მიზნის მიღწევის შემთხვევაში წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოსახვედრ შანსებს მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებს. რეიტინგში ხორვატი ახლა მე-15 პოზიციაზე კი არის, მაგრამ სანუკვარ მერვე ადგილს მხოლოდ 17 ქულა აშორებს.

ასე რომ, ლიუბიჩიჩი ვენაში ტრიუმფით ერთბაშად ორ კურდღელს დაიჭერს. საამისოდ მას საკმაოდ კარგი შანსები აქვს — ბალკანელი ხომ ავსტრიის დედაქალაქში თავს დიდებულად გრძნობს და იქ ერთხელაც არ დამარცხებულა. თუმცა, მარდი ფიშთან შეხვედრაში ლიუბიჩიჩი წაგებასთან ახლოს იყო. ხორვატმა პირველი სეტი ტაიბრეიკზე წააგო და მეორეში ბრეიკ პოინტების განეიტრალებაც მოუწია, თუმცა ამას წარამტებით გაართვა თავი და ამერიკელი გადამწყვეტი პარტიის მიწურულს მაინც გატეხა. სხვათა შორის, ლიუბიჩიჩისთვის ეს ვენაში წაგებული პირველი სეტი იყო.

კარიერის უსაზიზღრეს სეზონს ამთავრებს დავიდ ნალბანდიანი. ბოლო წლებში ტოპათეულში ყოფნას შეჩვეული არგენტინელი თითქმის მთელი წლის განმავლობაში ლანდივით შეუმჩნეველი იყო და არც ახლა წყვეტს ციდან ვარსკვლავებს. ამჯერად არგენტინელს სტანისლას ვავრინკა გაუმკლავდა.

ჯერჯერობით კარგად გამოიყურება კორტზე მობრუნებული მარიო ანჩიჩი. ზურგის ტრავმის გამო ამ ხორვატს ექვსი თვე გაუცდა, თუმც ახლა ნელ-ნელა ცდილობს ფორმის აღდგენას და დაკარგულის ანაზღაურებას. მას ეს საკმაოდ კარგად გამოსდის და სტოქჰოლმში მეოთხედფინალს უპრობლემოდ უწია. ანჩიჩმა ამჯერად მასპინძელი ბიორნ რენკვისტი შეიწირა.

მეოთხედფინალშია ტომი ჰაასიც, რომელმაც ალბერტ მონტანიესთან კი იწვალა, მაგრამ ესპანელს მაინც ამოსდო ლაგამი. ჰაასის შემდეგი მეტოქე ხუან მონაკოა.

მოსკოვში მასპინძელთა ერთ-ერთ ფავორიტს, ტურნირის მეორე ნომერ მიხაილ იუჟნის წააცალეს თავი. ეს მისია რუსის სეხნია, მიხაელ ბერერმა იკისრა, რომელმაც იუჟნი მაგრად გააწამა ძლიერი მოწოდებებით და ტემპის მუდმივი ცვლილებით.

კრემლის თასის ქალთა ტურნირიდან კი განთესილები პანტაპუნტით ცვივიან. გუშინწინ ბეჭებზე გაკრულ მარია შარაპოვასა და ამელი მორესმოს გუშინ ანა ჩაკვეტაძეც მიაყოლეს. ასე რომ, ქართული ფესვების მქონე რუსი ველარ მოახერხებს ტიტულის დაცვას, თუმც ჩაკვეტაძის მთავარი საფიქრალი ის არის, რომ სეზონის ბოლოს ამაზრზენად თამაშობს და ასეთი ჩოგნაობით წლის შემაჯამებელ ტურნირზე არაფერი ესაქმება.

წინ მიიწევენ შავდა უილიამსებიც — უმცროსი მოსკოვში ჩაუქრობს, უფროსი კი ბანგკოკში ბობოქრობს. სერენა გუშინ ტატიანა პერებენისს მოერია, ვინუსმა კი მასპინძელი ტამარინ ტანასუგარნი გაანადგურა.

**კახა ლომჯმვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge